ქრისტესმოუყვარე ერო:
არ შეუშინდე თავს დატეხილ განსაცდელს!

ყოველნო ქართველნო, აფხაზნო, ოსნო, ბერძენნო, უკრაინელნო, რუსნო, ებრაელებო, აზერბაიჯანელებო, სომეხნო, უდინნო, იეზიდნო, ასირიელნო, ქურთნო, ინგუშებო, ჩერქეზებო, ჩეჩნებო, ლეკნო... ყოველნო მკვიდრნო საქართველოისა და საზღვრებს გარეთ მცხოვრებო თანამემამულენო, ქრისტე აღდგა!

იხ. 6-7 გვ.

საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჭმინდა საქმეში, რომელიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტოის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 11 აპრილი. 2018 წ. №73 (8474), გამოცემის მე-100 წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

რუსეთის პათოლოგიური სიბოროტე 9



პუტინმა სომხეთის ოკუპაცია დაიწყო?

ამერიკა რუსეთს სირიის ტერიტორიაზე მსოფლიო ომისთვის „აქეზებს“...

შეერთებული შტატების პრეზიდენტი პერუში დაგეგმილ ამერიკის ქვეყნების სამიტზე არ ჩავა. დონალდ ტრამპმა ვიზიტი სირიაში შექმნილი ვითარების გამო გადადო, ამის შესახებ თეთრი სახლის პრესმდივანმა სარა სანდერსმა განაცხადა. „პრეზიდენტი შეერთებულ შტატებში დარჩება, რათა სირიის საკითხთან დაკავშირებით აშშ-ის საპასუხო ნაბიჯების კოორდინაცია მოახდინოს და მსოფლიოში მოვლენების განვითარებას დააკვირდეს“...

ამერიკა კატეგორიულად გმობს სირიაში რუსეთის დახმარებით ქიმიური იარაღის გამოყენების კიდევ ერთ ფაქტს და ასადის რეჟიმის შესაჩერებლად ემზადება. კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულის აღსაკვეთად ამერიკა სირიაში სამხედრო ძალის გამოყენების შესაძლებლობას არ გამორიცხავს. თუ მოვლენები მართლაც ასე განვითარდა, ამერიკა და რუსეთი სირიის ტერიტორიაზე ერთმანეთს შეეჯახებიან... ეს კი, მესამე მსოფლიო ომის დაწყების წინაპირობა იქნება!

ვეძებთ ჭეშმარიტებას

ხსნის ერთადერთი გზა



ევროპული აზროვნების შეცდომები უნდა დავინახოთ და ევროპასაც დავანახვოთ! 4 5

აფრიკელ სტუდენტებსა და ადგილობრივებს შორის იმავე მოედანზე ამხანაგური მატჩი გაიმართება 7

განხეთქილების ნინია, ანუ ვის ბოსტანში ისროლა მან კიდევ ერთი ქვა?!. 3

ლეილა აბაშიძეს 12 აპრილს საბურთალოს პანთეონში დედის გვერდით დაკრძალავენ

ქართველ მსახიობს, საქართველოს სახალხო არტისტს ლეილა აბაშიძეს ხუთშაბათს, 12 აპრილს საბურთალოს პანთეონში დაკრძალავენ. ლეილა აბაშიძის ანდერძის მიხედვით, მას დედის გვერდით დაკრძალავენ. ცნობისთვის, ლეილა აბაშიძე 8 აპრილს გარდაიცვალა. მსახიობი ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში საავადმყოფოში იყო მოთავსებული.

ლეილა მიხეილის ასული აბაშიძე 1929 წლის 1 აგვისტოს დაიბადა. ქართველი კინომსახიობი, რეჟისორი და სცენარისტი 1940 წლიდან მუშაობს კინოსტუდია „ქართულ ფილმში“. 1941 წელს ითამაშა კატოს როლი კონსტანტინე პიპინაშვილის ფილმში „ქაჯანა“. 1951 წელს დაამთავრა თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი. 1966 წელს ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის სიკო დოლიძის ფილმში „შეხვედრა წარსულთან“ საკავშირო კინოფესტივალის პირველი პრემია მიიღო. კონსტანტინე პიპინაშვილთან ერთად დაწერა სცენარი „მოლოდინი“, რომელიც შოთა დანოდარ მანაგაძეებთან ერთად გადაიღო. შექმნა მრავალი კომედიური და დრამატული სახე. არის მხატვრული ფილმების „მოლოდინი“ (1970), „კოშკები სდუმან“ (1978) სცენარის ავტორი, მხატვრული ფილმის „თბილისი, პარიზი, თბილისი“ სცენარის ავტორი და რეჟისორი. კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრია 1958 წლიდან.

პარკირების მენეჯმენტს დღეიდან თბილისის სატრანსპორტო კომპანია განახორციელებს

ამის **შესახებ დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე თბილისის მერმა კახა კალაძემ ისაუბრა. მისი თქმით, კომპანია მზად არის, ვალდებულებების შესრულებას შეუდგეს.**

მისი თქმით, უკვე გატარებულია შესაბამისი ღონისძიებები პარკირების სისტემის გამართული ფუნქციონირებისათვის.

„შეიქმნა თბილისის პარკირების სისტემის ვებგვერდი, ასევე, ცაბაძის ქუჩაზე ამოქმედდება თბილისის პარკინგის ცენტრალური ოფისი, სადაც მოქალაქეებს მოემსახურებიან. პარკირებასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადასახადის გადახდა შესაძლებელი იქნება სწრაფი გადახდის აპარატების ან ბანკის მეშვეობით. თბილისის

პარკინგის თანამშრომლები აღჭურვილები იქნებიან ყველანაირი ტექნიკით, რაც სჭირდებათ თავიანთი საქმიანობისთვის. შეიძლება ითქვას, რომ ყველანაირად გამართული იქნება პროცესი, რომელსაც კომპანია წარმართავს“, — განაცხადა კახა კალაძემ.

დედაქალაქის მერმა მოსახლეობას პარკირებისა და მომსახურებით სარგებლობისათვის აუცილებელი წესების დაცვისკენ მოუწოდა და აღნიშნა, რომ პარკირების შემოსავლები სატრანსპორტო პოლიტიკის გაძლიერებას მოხმარდება.

„ყველა თეთრი მიმართული იქნება სატრანსპორტო პოლიტიკის გაძლიერებისა და არსებული რეალობის შეცვლისკენ. მე მხედველობაში მაქვს მიწისქვეშა პარკინგების მოწყობა, პარკირების სისტემის გამართვა, რომელიც დღეს სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს“, — განაცხადა კახა კალაძემ.

დედაქალაქის ცენტრალური ქუჩების მორეცხვისა და გამწვანების სამუშაოები დაიწყო

დღეიდან **დედაქალაქის ცენტრალური ქუჩების მორეცხვისა და გამწვანების სამუშაოები დაიწყება. ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ მთავრობის სხდომაზე განაცხადა და მერის მოადგილეს მაია ბითაძეს პროცესის კონტროლი დაავალა.**

გარდა ამისა, თბილისის მერმა დავალება მისცა „თბილსერვისჯგუფის“ დირექტორს ლევან ჯღარკავას დასუფთავების მასშტაბური სამუშაოების განხორციელებასთან დაკავშირებით.

„დავიწყოთ ცენტრალური ქუჩებით და გადავიდეთ ყველა რაიონში. ჩვენი ქალაქი უნდა იყოს ყველაზე სუფთა. დარწმუნებული ვარ, მოსახლეობაც აგვიბამს მხარს და შემოგვიერთდება ამ მნიშვნელოვან ღონისძიებებში. ასევე მინდა, გთხოვოთ რომ სხვლა-ფორმირების სამუშაოები ისე დაგეგმოთ, რომ მოძრაობა არ შევაფერხოთ“, — განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის მერია „მეტრომანის“ დიზაინის კონკურსს აცხადებს

დედაქალაქის **მერია, თბილისის სატრანსპორტო კომპანიის ინიციატივით, საქართველო პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებიდან 100 წლის, ხოლო დამოუკიდებლობის აღდგენიდან 27 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, „მეტრომანის“ დიზაინის კონკურსს აცხადებს.**



ამასთან დაკავშირებით, დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე ისაუბრა.

თბილისის სხვადასხვა რაიონში საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტები იწყება

თბილისის **მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური დიდ დიღომში პეტრიწის ქუჩის რეაბილიტაციას იწყებს.** კახა კალაძის თქმით, პროექტი დაახლოებით 2 მილიონი ლარის ღირებულებისაა და სექტემბრის ბოლოსთვის დასრულდება.

„პროექტი ითვალისწინებს საკომუნიკაციო ქსელის სრულ რეაბილიტაციას, ახალი ასფალტის საფარის დაგებას, ტროტუარების, ბორდიურებისა და გზის სავალი ნაწილის მოწყობას. ასევე, მოეწყობა ახალი განათების სისტემა და გამწვანდება გზაგამყოფი ზოლი“, — აღნიშნა თბილისის მერმა. მისივე თქმით, რეაბილიტაციის პროცესის დასრულებამდე შეიცვლება მუნიციპალური ტრანსპორტის მოძრაობის სქემაც, რათა სამუშაოების გამო არ შეფერხდეს მოსახლეობა. დედაქალაქის მერმა მის მოადგილეს ირაკლი ბენდელიანს სამუშაოების პირად კონტროლზე აყვანა სთხოვა.

თბილისის მერის მოადგილემ ირაკლი ბენდელიანმა დედაქალაქის მასშტაბით დაგეგმილ სხვა მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ისაუბრა. მისი თქმით, უკვე იწყება რამიშვილის ქუჩის რეაბილიტაციაც, რომლის ღირებულება დაახლოებით 300 000 ლარია. პროექტის ფარგლებში შეიცვლება დაზიანებული მიწისქვეშა კომუნიკაციები, განახლდება ტროტუარები და ბორდიურები.

ირაკლი ბენდელიანის თქმით, სამუშაოების ფარგლებში საჭირო გახდება ტრანსპორტის მოძრაობის ეტაპობრივი შეზღუდვა, რასაც თბილისის მერია საპატრულო პოლიციასთან კოორდინაციით უზრუნველყოფს.

თბილისის მერის მოადგილემ საზოგადოებას, ასევე, ზემო და ქვემო ფონიჭალის დამაკავშირებელი გზაგამტარი ხიდის მშენებლობისა და მასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია. მისი თქმით, სამუშაოები 4 თვეს გაგრძელდება და მასში 2 300 000 ლარი დაიხარჯება. მისივე თქმით, ასევე, დაიწყება მდინარე გლდანულაზე გადასასვლელი ხიდების რეაბილიტაციაც, რომლის პროექტის ღირებულება დაახლოებით 8 მილიონი ლარია.

◎ მკითხველის წინადადება

გადავარჩინოთ ჩვენი საყვარელი გაზეთი!

„საქართველოს რესპუბლიკა“ ჩემი, შენი, ჩვენი გაზეთია. ამ გაზეთში 2018 წლის იანვარში დაიბეჭდა მიმართვა ხალხისადმი — **„გამოიწერეთ ან ყოველდღე იყიდეთ და გადაარჩინეთ „საქართველოს რესპუბლიკა“.**

საქართველოს ქალაქების მერებო და რაიონული ცენტრების გამგებლებო, კარგი იქნება, თუ მოეწყობა კონკურსი მთელი საქართველოს მასშტაბით: **„ჩემი საყვარელი გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკაა“.**

საბჭოთა წყობილების დროს ფოსტალიონები გაზეთებსა და წერილებს სახლებში დაატარებდნენ, ჩვენ რატომ უნდა ჩამოვრჩეთ ყოფილ საბჭოთა კავშირს?

სამწუხაროდ, თბილისს და სრულიად საქართველოს აღარ ჰყვანან ფოსტალიონები, რომლებიც სახლებში არიგებდნენ წერილებსა და ჟურნალ-გაზეთებს.

ფოსტალიონების უყოლობა კი აფერხებს გაზეთების გამოწერას, რადგანაც, ფაქტობრივად, არ ხერხდება შინ მიტანა.

ფოსტალიონების დანიშვნით შეიქმნება დამატებითი სამუშაო ადგილებიც. სანამ თბილისს ეყოლება ფოსტალიონები, მანამდე ყოველდღე იყიდეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, ამით გაზეთს გადავარჩენთ!

როგორც რედაქცია იუწყება, კონკურსში გამარჯვებულ მერებსა და გამგებლებს თავიანთი რაიონების რამდენიმე მოქალაქისათვის გაზეთზე ექვსთვიანი და ერთწლიანი უფასო ხელმოწერის უფლება მიეცემათ.

ვისაც არ შეუძლია „საქართველოს რესპუბლიკის“ გამოწერა ერთი წლით ან ნახევარი წლით, შეუძლიათ, გამოიწერონ სამ-სამი თვით, რაც გაზეთის გადასარჩენად კიდევ ერთი აგური იქნება.

თითოეული ქართველის სირცხვილია, რომ ქვეყნის მთავარ, 100 წლის გაზეთს, რომელიც მხოლოდ 50 თეთრი ღირს, უსახსრობის გამო დახურვის საფრთხე დაემუქროს...

ნათელა დავითაშვილი,
გამეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველი 1960 წლიდან (ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, როდის რა ერქვა!)
თბილისი, ნაძალადევის რაიონი, წაღვერის ქ. №23.

მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა საკრედიტო ხაფანგში გაება

კომერციული **ბანკებიდან, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან თუ სხვა საფინანსო დაწესებულებებიდან სესხს ყოველწლიურად სულ უფრო მეტი ადამიანი იღებს. ხშირია შემთხვევა, როდესაც ერთი ადამიანი ორი ან მეტი კრედიტით სარგებლობს. ჯერჯერობით ყოველგვარი მცდელობა ჭარბვალიანობის საკითხის მოგვარებისა, უშედეგოა. ხალხი ჯერ ეფლობა საკრედიტო ჭაობში, ხოლო შემდეგ კარგავს ყველაფერს, რაც კი გააჩნია.**

მოსახლეობის ჭარბვალიანობაზე მიუთითებს „კრედიტინფოში“ არსებული ჩანაწერების რაოდენობაც, რომელიც ყოველწლიურად იზრდება. **ამ ეტაპისთვის ბაზაში სულ 24 687 694 ჩანაწერია, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 4 მილიონით არის გაზრდილი.**

მართალია, 24,6 მილიონიდან ზოგი სესხი უკვე დაფარულია, თუმცა ფაქტია, რომ ზრდა დიდია. დღეის მდგომარეობით, სულ აქტიური 5 880 113 სესხია.

ამ ეტაპზე „კრედიტ-ინფოს“ ბაზაში ჩანაწერი სულ 2 537 374 ფიზიკურ პირსა და 94 193 იურიდიულ პირზე არსებობს. „ბიპიენის“ინფორმაციით, ამა თუ იმ ტიპის საკრედიტო ვალდებულება სწორედ ამდენ ადამიანს და კომპანიას გააჩნია.

ბოლო აღწერით საქართველოში სულ 3 718 200 ადამიანი ცხოვრობს, შესაბამისად, გამოდის, რომ სესხით მთლიანი მოსახლეობის დაახლოებით 68,2% სარგებლობს.

დღეს ქვეყანაში 287 ათასი იპოთეკით დატვირთული ქონებაა რეგისტრირებული და აქედან დაახლოებით 70% პრობლემურია, ანუ ადამიანები ვერ იხდიან აღებულ ფინანსურ ვალდებულებას და ემუქრებათ საფრთხე, რომ გარანტიად ჩადებული ქონება დაკარგონ. ეს კი ნიშნავს, რომ მოსახლეობის დაახლოებით 25%-ია დღეს მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში.

საქართველოს მოსახლეობა უკვე არის მონაწილე იმ სასესხო პირამიდისა, რომელიც მუდმივად მაღლა მიიწევს. ფინანსისტ ირაკლი ბერძენაძის აზრით, ერთადერთი გამოსავალი თავად ბანკების მხრიდან, სესხებზე რეგულაციის დაწესების ნაცვლად, მსესხებლის ასაკის განსაზღვრაა, რაც არსებულ პრობლემას მეტ-ნაკლებად დაარეგულირებს.

„მსესხებლის ასაკი უნდა განისაზღვროს მკაცრად. მაგალითად, 23 წლამდე არ უნდა გაიცემოდეს არც ერთ პირზე კრედიტი, როგორი სახით უზრუნველყოფილიც არ უნდა იყოს ის. ეს მდგომარეობას შედარებით გამოასწორებს“, — აღნიშნა ბერძენაძემ.

2006 წელს სამოქალაქო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შედეგად, კრედიტორსა და მოვალეს შორის არსებული საკანონმდებლო ბალანსი მნიშვნელოვნად გადაიხარა კრედიტორების სასარგებლოდ და დღეს მოვალე, ფაქტობრივად, დაუცველია. კანონი შესაძლებლობას აძლევს კრედიტორს, რაც შეიძლება მარტივად ჩაიგდოს ხელში მოვალის ქონება.

იპოთეკით დაზარალებულთა ასოციაციის თავმჯდომარე მამისა ჯაფარაშვილი ამბობს, რომ ხელისუფლება ვირტუალურ სამყაროში ცხოვრობს, ხოლო ხალხი, რომელიც რეალურად ბანკის ვალებქვეშ გმინავს — სხვა სამყაროში.

„მაშინ, როცა მოსახლეობა აბსოლუტურად გადახდისუუნარობა და ვალში იხრჩობა, ბანკები ყოველდღიურად ისაკუთრებენ უძრავ ქონებას. ისინი არა მხოლოდ ჩვენ, სახელმწიფოსაც ყიდიან და სახელმწიფო საკუთრება უცხო ქვეყნის მოქალაქეების ხელში გადადის. ამის უშუალო მაგალითები არსებობს. დღეს მარტო დედოფლისწყაროში 750 000 ჰექტარი მიწა „საქართველოს ბანკის“ საკუთრებაში გადავიდა“, — განაცხადა მამისა ჯაფარაშვილმა. **მისი თქმით, ეკონომიკასა და განვითარებაზე სახელმწიფო როდესაც სტატისტიკას აქვეყნებს, იგი აბსოლუტურად მოწყვეტილია ყოველგვარ რეალობას.**

ბექა დანელია

განხეთქილების ნინია,

ანუ ვის ბოსტანში ისროლა მან კიდევ ერთი ქვა?!..

„პატიებას ვთხოვ საზოგადოებას, ვინც შეურაცხყოფად მიიღო ჩემი გადაწყვეტილება ნინია კაკაბაძის მხარდაჭერასთან დაკავშირებით.

ჩემი გადაწყვეტილება ერთადერთ მიზანს ემსახურებოდა — ოპოზიციის კვოტით გათვალისწინებული კანდიდატის არჩევას... თუმცა, სამწუხაროდ, დიდი რეაქცია მოჰყვა ამ ნაბიჯს ჩვენი საზოგადოების მხრიდან და გადავწყვიტე, რამდენიმე სიტყვით მომემართა.

20 წელია, ვცდილობ ჩემს ქვეყანას და ეკლესიას საქმით დავუმტკიცო სიყვარულიც და პატივისცემაც. ძალიან მერიდება, საკუთარ თავზე საუბარი რომ მიწევს — მაგრამ ათასობით ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა შემაძლებინა იმ პროფესიულმა გზამ და პროგრამებმა — იმუნიზაციის, შიდსის, მალარიის, C ჰეპატიტის თუ სოლიდარობის ფონდის — რომელთა უკან ვიდექი პირველი ან სულ რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად. საყოველთაო ჯანდაცვის დოკუმენტიც, ისე მოხდა, რომ ჩემი ხელმოწერით გაიგზავნა მთავრობაში, მაგრამ ამ პროგრამის სათავეებთან ბევრი ადამიანი ვიდექით დავით სერგეენკოს ხელმძღვანელობით.

ზუსტად ასეთი მნიშვნელოვანი ცვლილებების შექმნის იმედი მაქვს დღეს უკვე განათლების, მეცნიერების და კულტურის მიმართულებებით.

სისტემურ რეფორმებთან ერთად ვცდილობ, სამივე სფეროში ჩვენი ეკლესიის როლი წარმოჩინდეს ისეთი განსაკუთრებული მნიშვნელობით, რომელსაც ჩვენი ქართული მართლმადიდებელი ეკლესია 17-საუკუნოვანი ნამოღვაწარით იმსახურებს.

პარლამენტში არჩევის პირველივე დღეებიდან არ მოვრიდებივარ ერთგვარად ტაბუდადებული თემის — სკოლებში რელიგიის ისტორიის სწავლების თუ განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროში ეკლესიასთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობის აუცილებლებლობის წარმოჩინებას, რადგან ეს არის ჩვენი ქვეყნისთვის და ხალხისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი.

და იმ ყველა მასშტაბურ საკითხს შორის, რომელზეც თანამოაზრეებთან და დარგის ექსპერტებთან ერთად ყოველდღიურად ვმუშაობ და რომელიც მალე გახდება ჩვენი საზოგადოებისთვის ცნობილი — ნინია კაკაბაძის არჩევის საკითხი არ ჩამითვლია ესოდენ პრინციპულად.

მიუხედავად ამისა, თუ ჩვენმა საზოგადოებამ შეურაცხოფად მიიღო ჩემი ნაბიჯი — საზოგადოების ამ ნაწილს პატიებას გთხოვთ...“ — წერს მარიამ ჯაში ფეისბუქის პირად გვერდზე.

მარიამ ჯაშის ამ განცხადების შემდეგ, ფეისბუქის საკუთარ გვერდზე განცხადება მარნეულის მაჟორიტარმა დეპუტატი თამაზ ნავერიანმაც გამოაქვეყნა:

„მინდა, გამოვეხმაურო პარლამენტის მიერ საზოგადოებრივი მაუწყებლის ბორდის წევრად ნინია კაკაბაძის არჩევასთან დაკავშირებით მასმედიაში ხელოვნურად აგორებულ აჟიოტაჟს.

მე, როგორც საქართველოს პარლამენტის წევრს, კარგად მაქვს გააზრებული ჩემი როლი და პასუხისმგებლობა სახელმწიფოს წინაშე და ყოველთვის გავემიჯნები უადგილო პოპულიზმს, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს გუნდის ერთიანობას და სახელმწიფო ინტერესებს. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ საქმე გვაქვს სწორედ ასეთ აჟიოტაჟზე გათვლილ პროვოკაციულ მოქმედებასთან საპარლამენტო უმცირესობის მხრიდან, რომელიც ხელოვნურად მანიპულირებდა კანონით მისთვის მინიჭებული კვოტით. უმცირესობა ამაოდ ცდილობს ჩვენს გუნდში განხეთქილების შეტანას და ამ მიზნით თავს გვახვევს იაფფასიან დილემას: უნდა ავირჩიოთ მიუღებელი კანდიდატებიდან ერთ-ერთი და რადგან სასწორის მეორე პინაზე დგას კანონისმიერი ვალდებულება და სახელმწიფო ინტერესები, ჩვენ ვიღებთ გამოწვევას და ვაკეთებთ არჩევანს. ჩვენ ოპონენტს ვერ მივცემთ საშუალებას, წარმოადგინოს სურათი ისე, თითქოს ჩვენთვის მიუღებელია განსხვავებული აზრის არსებობა მაუწყებლის სამეურვეო საბჭოში და ამის გამო ვბლოკავთ მათ მიერ შემოთავაზებულ კანდიდატებს. ნინია კაკაბაძეზე უკეთეს კანდიდატურას უმცირესობა ვერ/არ წარმოადგენდა და ნებისმიერი სხვა კანდიდატიც იქნებოდა ზუსტად იმ „ფასეულობათა“ მატარებელი, რომელიც მიუღებელია საზოგადოების უმრავლესობისათვის — როგორც წესი, ეს ადამიანები ღიად უპირისპირდებიან ქართულ ეროვნულ ტრადიციებს და გააჩნიათ მკვეთრად გამოხატული მიუღებლობა მართლმადიდებლური ეკლესიისა და საქართველოს პატრიარქის მიმართ. ცხადია, როგორც ნებისმიერმა თქვენგანმა, მეც ვიცოდი ეკლესიის მიმართ ქალბატონი ნინია კაკაბაძის ნეგატიური დამოკიდებულების შესახებ — ასეთი „განსაკუთრებული აზრი“ კარგი ტონის წესად ითვლება მისი წრის სხვა ადამიანებში. თუმცა, არასოდეს გამორჩეული ყურადღება არ დამითმია ამ ქალბატონის ცალკეული განცხადებებისათვის, რადგან მსგავსი სიბინძურე ხშირად ისმის ეკრანებიდან. ვაღიარებ, რომ ნამდვილად არ მქონდა მოსმენილი კაკაბაძის ასე მკვეთრად გამოხატული, უტიფარი განცხადება საქართველოს ეკლესიის მეთაურის მიმართ, რომელიც სცილდება ყოველგვარი ეთიკის ჩარჩოებსაც კი და უკიდურესად შეურაცხყოფს ყველა მომრწმუნე ადამიანის უსპეტაკეს გრძნობებს.

შესაძლოა, ახლა უადგილოა ამაზე საუბარი, მაგრამ მაინც გეტყვით, რომ ის მძაფრი და სულის შემძვრელი გრძნობა, რაც დამეუფლა ამ ქალბატონის ცნობილი განცხადების დაგვიანებით მოსმენის შემდეგ, აუცილებლად იქონიებდა გავლენას ჩემს გადაწყვეტილებაზე კენჭისყრის დროს. საზოგადოებას ვთხოვ, ქრისტიანული სულგრძელობით გაზომოს ჩემი ნაბიჯები და მომიტევოს უნებლიე შეცდომა.

უფალმა ყველას მოგვიტევოს შეცოდებები.

წინასწარ გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს“, — წერს მარნეულის მაჟორიტარი დეპუტატი თამაზ ნავერიანი.

მოკლედ რომ ვთქვა, ერთი შეხედვით არც ისეთმა დიდმა სკანდალმა, როგორიც ვინმე ნინია კაკაბაძის საზოგადოებრივი მაუწყებლის ბორდში არჩევა იყო, საკმაოდ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია.

მავანი იტყვის, რომ რა გახდა ეს ანგაჟირებული არსების არჩევა, როცა უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ბოკერია და მელია გვისხედან და დღეში რამდენჯერმე ხან გვემუქრებიან, ხანაც ჭკუას გვარიგებენ და მუდამ იმაზე ფიქრობენ, თუ რა ზიანი მიაყენონ საქართველოსო.

იტყვის და, ერთი შეხედვით, მართალი იქნება, მაგრამ, თუ კარგად დავაკვირდებით, პროცესების განვითარების საკმაოდ საინტერესო გაგრძელებასთან უნდა გვქონდეს საქმე.

შემიძლია, თამამად განვაცხადო, რომ უმრავლესობის ამ ნაბიჯმა დიდი ლუსტრაციის დაწყებას ჩაუყარა საფუძველი.

ბორჯომის მაჟორიტარმა დეპუტატმა გედევან ფოფხაძემ, საპარლამენტო უმრავლესობის მიერ ნინია კაკაბაძის მიმართ მხარდაჭერა მაშინვე გააპროტესტა და საკმაოდ მკაცრი განცხადებებიც გააკეთა.

„რა მოხდა, ხალხმა უნდა იცოდეს. წინა საღამოს საპარლამენტო უმრავლესობის ფორმატში შეკრებილები ვიყავით, ვისაუბრეთ და ვთქვით, რომ ნინია კაკაბაძეს ხმას არ ვაძლევდით. ამაზე შევთანხმდით და ყველას ჩვენი არგუმენტები გვქონდა. შეიძლება, ბევრი არ დავრჩით, მაგრამ თუ ვინმეს რაიმე პოზიციის გამოთქმა უნდოდა, მოსულიყო. თუ ვინმე „ჩატში“ რაიმეს კენჭისყრამდე 15 წუთით ადრე დადებს, ეს გუნდის პოლიტიკური პოზიციის მაჩვენებელი რატომ არის?“, — ინტერესდება დეპუტატი.

კანონმდებელი მიიჩნევს, რომ გასარკვევია ის საკითხი, უმრავლესობის ნაწილმა პოზიცია რატომ შეიცვალა და ნინია კაკაბაძეს ხმა რატომ მისცა.

„იმას კი ნუ ამბობენ, გედი ფოფხაძემ შეურაცხყოფა მოგვაყენაო, უმრავლესობა უნდა დაჯდეს ან ჩემთან ერთად, ან უჩემოდ და ეს საკითხი განიხილოს. იმის პრობლემა სულ არ მაქვს, უმრავლესობა დავტოვო და ეს პროცედურები გავიარო, მაგრამ მაინტერესებს, ეს ყველაფერი რატომ მოხდა?! თუ გუნდის იმ წევრებს მიაჩნიათ, ვინც ნინია კაკაბაძეს ხმა მისცა, რომ მათ ჩემი გადაწყვეტილებით შეურაცხყოფა მივაყენე, ჩემს თავს შეურაცხყოფილად ვგრძნობ იმის გამო, რაც მოხდა და მინდა, პასუხები მივიღო“, — აღნიშნავს კანონმდებელი.

საკმაოდ განსხვავებული აღმოჩნდა „ქართული ოცნების“ ლიდერის, პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილისა და პარლამენტის თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის შეფასებები, რაც მაძლევს იმის უფლებას, რომ კიდევ ერთხელ გავიმეორო ოდნავ ზევით დაწერილი მოსაზრება დიდი ლუსტრაციის დაწყების შესახებ.

იხ. 5 გვ.

დიმიტრი ქუმსიშვილმა დუბაის საინვესტიციო ფორუმის მონაწილეებს საქართველოს საინვესტიციო შესაძლებლობები გააცნო

დუბაის საერთაშორისო საინვესტიციო ფორუმის ფარგლებში, საქართველოს საინვესტიციო შესაძლებლობების პრეზენტაცია გაიმართა, რომლის დროსაც საერთაშორისო ინვესტორების წინაშე ვრცელი მოხსენება გააკეთა საქართველოს პირველმა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

პირველმა ვიცე-პრემიერმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ქვეყნის ეკონომიკური ზრდის დინამიკაზე, მაკროეკონომიკურ ტენდენციებზე, მიმდინარე და დაგეგმილ რეფორმებზე, აგრეთვე საინვესტიციო პროექტებზე ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებში, მათ შორის, უძრავ ქონებასა და ტურიზმის ინდუსტრიაში. დიმიტრი ქუმსიშვილმა ყურადღება გაამახვილა მთავრობის 4-პუნქტიან გეგმაზე, რომლის ერთ-ერთ მთავარ მიზანსაც ეკონომიკის ზრდის დაჩქარება წარმოადგენს. აგრეთვე მოქმედ პროგრამაზე საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, რომლის საფუძველსაც მთავრობის ეკონომიკური პროგრამა წარმოადგენს.

მთავრობის მიერ გატარებულ რეფორმებზე საუბრისას პირველმა ვიცე-პრემიერმა ყურადღება გაამახვილა მოგების გადასახადის რეფორმაზე, რომელიც ბიზნესს რეინვესტირებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას შესაძლებლობას აძლევს. ინვესტორთა მხრიდან ასევე გამოითქვა დაინტერესება იმ თავისუფალი სავაჭრო რეჟიმების მიმართ, რომლებიც საქართველოს აქვს ევროკავშირთან, ჩინეთთან, დსთ-ს ქვეყნებთან და სხვა მთავარ სავაჭრო პარტნიორებთან. პირველი ვიცე-პრემიერის სიტყვით გამოსვლის შემდეგ, საინვესტიციო პროექტების შესახებ პრეზენტაციები გააკეთეს ქართული კომპანიების წარმომადგენლებმა, რომლებიც დუბაის ფორუმსა და გამოფენაზე საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით მონაწილეობენ.

გიორგი მარგველაშვილი არაბთა გაერთიანებულ საემიროებში იმყოფება

საქართველოს პრეზიდენტი არაბთა გაერთიანებულ საემიროებს ოფიციალური ვიზიტით პირველ ლედისთან მაკა ჩიჩუასთან ერთად ეწვია. ვიზიტის მიზანი არაბთა გაერთიანებულ საემიროებთან ურთიერთობის გაღრმავებაა.

საქართველოს პრეზიდენტის დახვედრის ოფიციალური ცერემონია აბუ დაბის საპრეზიდენტო აეროპორტში გაიმართა. გიორგი მარგველაშვილს, პირველ ლედისა და საქართველოს დელეგაციას აეროპორტში არაბთა გაერთიანებული საემიროების ტახტის მემკვიდრე შეიხ მოჰამედ ბინ ზაედ ალ ნაჰაიანი დახვდა, რომლის მონაწილეობითაც გაიმართა დახვედრის ოფიციალური ცერემონია. საქართველოს პრეზიდენტმა ტახტის მემკვიდრეს საქართველოს დელეგაცია წარუდგინა.

ხსნის ერთადერთი გზა

ევროპული აზროვნების შეცდომები უნდა დავინახოთ და ევროპასაც დავანახვოთ!

სახელმწიფოს მართვის მოდელი ადამიანის სამსახოვნების პრინციპზე უნდა აიგოს. ინდივიდი, პიროვნება და მოქალაქე სრულყოფილად მოიცავს ადამიანს. როგორც პიროვნება თავის თავში აერთიანებს ინდივიდსა და მოქალაქეს, ასევე საზოგადოება თავის თავში მოიცავს ერსა და სახელმწიფოს. საზოგადოების ელემენტის — პიროვნების უნიკალურობა, საზოგადოებაში ეროვნულ თვითმყოფადობაშია, ხოლო პიროვნების სამართლებრივი ფორმა საზოგადოების სამართლებრივ ფორმაში — სახელმწიფოში. როგორც პიროვნებას, თავის სამსახოვნებაში, ავსებს ინდივიდის უნიკალურობა, და მოქალაქის სამართლებრივი ფორმა, ასევე საზოგადოებას კრავს და აერთიანებს თავისი ეროვნული თვითმყოფადობა და თავისი სამართლებრივი ფორმა — სახელმწიფო.



საზოგადოება უგულებელყოფილია და დამცირებულია. თავისუფლების ბუნებრივი უფლება წართმეული აქვს და დუმს, ღირსებაშელახულია და დუმს, შია, სწყურია და დუმს, ცხოვრების წესს უცვლიან, ტრადიციებს ულანძღავენ, ოჯახებს უნგრევენ, შვილებზე აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო ზეგავლენის უფლებას ართმევენ და დუმს...

ვაართ ჩვენ საზოგადოება?!...

პიროვნება ადამიანის ბუნებრივი და ზებუნებრივი მახასიათებლების გამოვლინებაა, ხოლო საზოგადოება ამ გამოვლინების შედეგი. საზოგადოება არ არის, სახელმწიფოს მსგავსად, ადამიანური გონის მიზნობრივი მიზეზით არსებული. საზოგადოება არ გახლავთ ხელოვნურად შეკოწიწებული ერთობა. მის სტრუქტურაში გონებრივი ჩარევით ცვლილება ვერ მოხდება. იდეოლოგიები ამიტომაც უპირისპირდებოდნენ და ცდილობდნენ პიროვნების ძალადობრივ დამორჩილებას. ლიბერალურმა იდეოლოგიამ უფრო მზაკვრული გზა აირჩია; საზოგადოება სახელმწიფო განზომილებაში გადაიტანა, პიროვნება გამოაცალა, მის ადგილას მოქალაქე ჩასვა, სამოქალაქო საზოგადოებად გამოაცხადა და ცდილობს მოქალაქეების ხელოვნური საზოგადოებით, პიროვნებათა საზოგადოების იგნორირებას.

პიროვნება კაცობრიობის მთავარი ღირებულებაა. ის სრულყოფილია და თავის თავში აერთიანებს ინდივიდის უნიკალურობასა და მოქალაქის სამართლებრივ განსაზღვრულობას, ღვთიურ ელემენტს — სულს, და მორალურ-ზნეობრივ კონსტიტუციას, როგორც თავისუფლების შემადგენელს. თავისუფალი მხოლოდ პიროვნებაა.

ინდივიდი თავის ბუნებრივ მოცემულობაშია, მოქალაქე — განსაზღვრულ სამართლებრივ სივრცეში, თავისუფლება მათთვის მიუღწეველია. ადამიანის სამსახოვნებიდან თავისუფალი მხოლოდ პიროვნებაა.

როდესაც იდეოლოგიური ლიბერალიზმი ინდივიდის უზენაესობის რწმენამდე მივიდა, ამით ლიბერალისტური იდეები გააუფასურა; ინდივიდის თავისუფლებაზე საუბრობს და არ იცის, რომ ინდივიდი ადამიანის ბუნებრივი მოცემულობაა. მისი მთავარი მახასიათებელი უნიკალურობაა და არა — თავისუფლება. ინდივიდი თავის ბუნებრივ მოცემულობას თავს ვერ დააღწევს; გრძნობები, სურვილები, მოთხოვნილებები, მასა ისევე აღძრავენ, როგორც ცხოველთა ნებისმიერი სახეობის ინდივიდს. ამაში ზეცხოველური, ზებუნებრივი არაფერია. თავისუფლება კი ზებუნებრივი მოვლენაა და ინდივიდში, როგორც ბუნებრივ მოცემულობაში, ვერ იქნება.

მუდმივად მიგვანიშნებენ დასავლურ ღირებულებებზე და სურთ დაგვარწმუნონ, რომ მთავარი ამ ღირებულებებში ინდივიდის თავისუფლებაა, რაც იდეოლოგიური სიყალბეა. ადამიანი — ინდივიდი ისეთივე ცხოველია, როგორც ძაღლი — ინდივიდი, რომელიც ბუნებრივი მოცემულობის ტყვეობაშია.

ლიბერალური იდეოლოგიის კიდევ ერთი მთავარი ღირებულება დემოკრატიაა. დემოკრატიას, ძველი ბერძნული არისტოკრატიული დემოკრატიიდან მოყოლებული, სახე ბევრჯერ უცვალეს; ხელისუფლებაში ფაშისტებიც დემოკრატიული არჩევნების გზით მოვიდნენ, ვიცით სოციალისტური დემოკრატიის სიყალბეც, მაგრამ დემოკრატიული ლიბერალიზმი არგაგონილი სიყალბეა; უმრავლესობა იმართება მოსყიდული უმცირესობების მიერ მაშინაც კი, როცა არჩევნებში განსხვავებული შეხედულებების პარტია იმარჯვებს. უმცირესობები, უმრავლესობის აზრის უგულებელყოფით, ხელისუფლებას აიძულებენ ისე მოიქცეს, როგორც მიუთითებენ. იდეოლოგიის დასაყრდენი საზელმწიფოში გახლავთ არასამთავრობო ორგანიზაციები და პარტიები, რომლებიც ერთვებიან კანონშემოქმედებაშიც და უმრავლესობისთვის მიუღებელი კანონებით აიძულებენ, იცხოვრონ იმ საკანონმდებლო სივრცეში, რომელიც უმრავლესობისთვის მიუღებელია. აი, ეს არის ლიბერალური დემოკრატია, რასაც დემოკრატიის იდეის მიზნობრივ განსაზღვრულობასთან საერთო არაფერი აქვს.

იდეოლოგიური სახელმწიფო კოლექტიური არქიფოა, რომლის მიზანდასახულობაც ადამიანის სიცრუეში ყოფნაა. დემოკრატიულობა იდეოლოგიური ნიღაბია, რომლის მიღმაც კაცობრიობის დამაზიანებელი იდეები იმალება.

დემოკრატიამ თავისი თავი ამოწურა. ხალხის სახელით სპეკულირება ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამთავრდეს. საზოგადოებამ, თავისი უსაფრთხოების მიზნით, სახელმწიფოს მართვის სადავეები ხელში უნდა აიღოს. დღეს მცველი დასაცავზე ღირებულია. ეს ანომალიაა. წარმოიდგინეთ, ტყვიაგაუმტარი ჟილეტი უფრო ძვირფასი იყოს მასზე, ვისაც ეს ჟილეტი იცავს... საკაცობრიო გონმა სახელმწიფო შექმნა, რათა საზოგადოება კოლექტიური უსაფრთხოების ქოლგის ქვეშ მოექცია. სინამდვილეში სახელმწიფო იქცა საზოგადოების საფრთხედ. სახელმწიფოს ინტერესი საზოგადოების ინტერესზე მაღლა დადგა, პიროვნების სამართლებრივი ფორმა — მოქალაქე პიროვნებაზე ღირებული გახადა.

სახელმწიფო, არსისეულ განსაზღვრულობაში, საზოგადოების მსახურია. სხვა ღირებულება სახელმწიფოს არ გააჩნია; მასში არ არის არც ეროვნული უნიკალურობა და არც ზოგადსაკაცობრიო მახასიათებელი ქმნადობისა.

თანამედროვე საზოგადოება, თავისი ცვალებადი და განვითარებადი იდეების წყალობით, მრავალდარგოვანია, დარგებში უამრავი განშტოებები და სპეციალობებია, იმ დროს, როცა სახელმწიფო ისევ სოლონის დროინდელი დემოკრატიით იწონებს თავს.

სახელმწიფო, როგორც ყველა იდეური ქმნილება, ცვალებადობასა და განვითარებას უნდა დაექვემდებაროს. ადამიანმა უნდა დაიბრუნოს სახელმწიფოსგან მიტაცებული უფლებები. ლიბერალური იდეის მიზნობრივი დანიშნულებაც ეს გახლდათ, თუმცა ის არსისეულ განსაზღვრულობას გასცდა და იდეოლოგიად ქცეულ საზოგადოებას ბოროტებად დაუბრუნდა. მაგალითისთვის, ეს პროცესი შეიძლება შევადაროთ, საზოგადოებრივ განზომილებაში ატომის გახლეჩას, რაც სახელმწიფო განზომილებაში გამანადგურებელ ბომბად იქცა.

საზოგადოებაში გაჩენილი ლიბერალური იდეის შიშით სახელმწიფომ ლიბერალური იდეოლოგია მეხამრიდად დაიყენა, ცვალებადობის მეხი აირიდა და ადამიანს დასცა. იმის ნაცვლად, რომ მიტაცებული უფლებები დაეთმო, სახელმწიფომ ლიბერალური იდეა ეროვნულ და საზოგადოებრივ განზომილებებში გადაიტანა, ადამიანის ბუნებრივი მოცემულობის — ინდივიდის თავისუფლების აღიარებით, ადამიანის ცხოველურ ბუნებას გაუსვა ხაზი და მის გაშიშვლებას ცდილობს.

ტელეეკრანიდან ევროპაში განათლებამიღებული ახალგაზრდების საუბარი მოვისმინე; გვიმტკიცებდნენ, ერი წარსულიაო. თუ ევროპაში ამ სიცრუის შესასწავლად მიდიან, დროს ტყუილად კარგავენ, რადგან ერი მარადიული აწმყოა; ის ისტორია კი არა, ბიოლოგიისა და ფსიქიკის, ბუნებრივისა და ზებუნებრივის გამოვლინებაა, რომელიც ადამიანთან ერთად არ კვდება. წარსული მომავალში გადადის, რაც ადამიანის მარადიული აბსტრაქტული სიცოცხლეა.

როდესაც ადამიანს ეროვნულ და საზოგადოებრივ განზომილებებს ართმევ, ბუნებრივ მოცემულობაში, გრძნობებისა და მოთხოვნილებების ამარა ტოვებ. დღეს ლიბერალური იდეოლოგიის მსხვერპლი გაცხოველების პროცესშია.

ევროპაში განათლებამიღებული ახალგაზრდა იმავე სატელევიზიო ეკრანიდან წუხდა, რომ მის მშობელს, გარდაცვლილ ღირსეულ მოღვაწეს, ჯეროვნად არ აფასებენ და არ იხსენებენ. დიახ, ასე ექცევა იდეოლოგია პიროვნებებს, ცოცხლებსაც და გარდაცვლილებსაც. ლიბერალურმა იდეოლოგიამ გაშიშვლებული ინდივიდები აქცია მისაბაძად; შორენა და კესარია უფრო ცნობილები არიან, ვიდრე წარმატებული ახალგაზრდა მეცნიერები, ეკონომისტები, ფინანსისტები, მეწარმეები, ექიმები და ასე შემდეგ... ჩვენ მათ არ ვიცნობთ, მაგრამ ვიცნობთ სატელევიზიო სტუდიებში გაშიშვლებულ გოგო-ბიჭებს. აი, იდეოლოგიური ხაფანგი ადამიანის გაცხოველებისა, რაც ღირსებისა და სირცხვილის დაკარგვით იწყება (სირცხვილი მორცხვობას არ ნიშნავს, სირცხვილი გაცნობიერებაა იმისა, რომ შენს თავს არ აკადრო ის, რაც ადამიანს არ ეკადრება).

ხსნის ერთადერთი გზა საზოგადოების გააქტიურებაა. პირველი, რაც ამ მიმართულებით გასაკეთებელია, დარგობრივი კავშირების, ასოციაციების, ფედერაციების გაძლიერება და ერთობლივად უფლებებისთვის ბრძოლაა. გაერთიანებები სოლიდარულნი უნდა იყვნენ და ერთობლივი მოთხოვნებით გამოვიდნენ. საზოგადოების დევიზად უნდა იქცეს: „ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐᲠᲒᲘ, ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲐ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ!“ პროფესიული ნიშნით პიროვნებების კონსოლიდაცია გახდება საფუძველი საზოგადოების გააქტიურებისა და პიროვნების თავისუფლებისა.

დარგობრივმა საზოგადოებებმა, კავშირებმა, ასოციაციებმა, ფედერაციებმა, შიდა არჩევნების გზით, უნდა შექმნან დარგში პოლიტიკის განმსაზღვრელი ორგანოები — პოლიტიკური საბჭოები. პირველ ეტაპზე, დარგობრივი გაერთიანებები, როგორც საზოგადოებრივი ინსტიტუტები, მოითხოვენ უფლებების გაზრდასა და სახელმწიფოს დიქტატისგან გათავისუფლებას. მეორე ეტაპი დაიწყება მაშინ, როდესაც დარგობრივი გაერთიანებები შეძლებენ, შიდა არჩევნების გზით, პარლამენტში წარმომადგენლების გაგზავნას, რაც იდეოლოგიური სახელმწიფოს დასასრულის დასაწყისი იქნება, და რასაც საზოგადოების ხორცმეტების — პარტიების ლიკვიდაცია მოჰყვება.

საზოგადოებამ უნდა შეძლოს სახელმწიფო განზომილებაში შეღწევა და ძალაუფლების ხელში აღება. საკაცობრიო გონს კაცობრიობის უფრო მაღალ საფეხურზე ასაყვანად, აუცილებლად დასჭირდება ცვლილებები სახელმწიფო განზომილებაში.

მომისმენია გაუაზრებელი მტკიცება იმისა, რომ სახელმწიფოს იდეალები ამოძრავებენ. არა, ბატონებო, იდეები და იდეალები ცვალებადი და განვითარებადი საზოგადოებრივი მოვლენებია, ისინი, როგორც კი სახელმწიფო განზომილებაში აღმოჩნდებიან, კოლექტიური არქიფოს იარაღებად გადაიქცევიან და განვითარებას წინააღმდეგობას გაუწევენ.

ევროპული აზროვნების შეცდომები უნდა დავინახოთ და ევროპასაც დავანახვოთ

ᲐᲠᲐᲕᲘᲡ არა აქვს უფლება, საზოგადოებაში იდეების გაჩენასა და განვითარებას ხელი შეუშალოს, და არც იმის უფლება აქვს ვინმეს, ისინი სახელმწიფო განზომილებაში გადაიტანოს. არ უნდა არსებობდეს პარტიის სახით ძალა, რომელიც საზოგადოების ცვალებადსა და მსოფლმხედველობრივ იდეას დოგმატურ რწმენად გადააქცევს.

კაცობრიობას ეროვნული საზოგადოებები შეადგენენ და სწორედ, ეროვნული საზოგადოებების ხელში უნდა იყოს კაცობრიობის მომავალი და არა იდეოლოგიური რწმენებით დაავადებული პარტიებისა.

სახელმწიფოს მართვის მოდელი ადამიანის სამსახოვნების პრინციპზე უნდა აიგოს. ინდივიდი, პიროვნება და მოქალაქე სრულყოფილად მოიცავს ადამიანს. როგორც პიროვნება თავის თავში აერთიანებს ინდივიდსა და მოქალაქეს, ასევე საზოგადოება თავის თავში მოიცავს ერსა და სახელმწიფოს. საზოგადოების ელემენტის — პიროვნების უნიკალურობა, საზოგადოებაში ეროვნულ თვითმყოფადობაშია, ხოლო პიროვნების სამართლებრივი ფორმა საზოგადოების სამართლებრივ ფორმაში — სახელმწიფოში. როგორც პიროვნებას, თავის სამსახოვნებაში, ავსებს ინდივიდის უნიკალურობა, და მოქალაქის სამართლებრივი ფორმა, ასევე საზოგადოებას კრავს და აერთიანებს თავისი ეროვნული თვითმყოფადობა და თავისი სამართლებრივი ფორმა — სახელმწიფო.

სახელმწიფოს მმართველობითი ფორმის სრულყოფისთვის აუცილებელია გათვალისწინებული იყოს საზოგადოების სამსახოვნება, რათა ხელისუფლებაში საზოგადოება თავისი სამსახოვნებით წარმოჩნდეს.

ზოგისთვის, შეიძლება, ადამიანის სამსახოვნება გაუგებარია და იმ სამი სივრცის გამოყოფა უჭირს, რომელშიც ადამიანი იმყოფება.... (ამ საკითხზე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ადრინდელ გამოცემებში ვწერდი). ადამიანი სამსახოვანი იმიტომ კი არ არის, რომ მე ასე მინდა იყოს. სამსახოვნება ფაქტია; ადამიანი არის ინდივიდი — ბუნებრივი არსება, თავისი დამახასიათებელი უნიკალურობით; ადამიანი არის პიროვნება, საზოგადოებრივი არსება, თავისი ზოგადსაკაცობრიო მახასიათებლებით; და ადამიანი არის მოქალაქე, ასევე იდეური ქმნილების — სახელმწიფოს ელემენტი, რომელიც ადამიანის სამართლებრივი ფორმაა.

თავისი ბუნებრივი და ზებუნებრივი მახასიათებლებით ადამიანი პიროვნებად რომ არ ჩამოყალიბებულიყო, არც ერი იარსებებდა,

არც – საზოგადოება, და არც – სახელმწიფო, ადამიანთა ჯოგი ცხოველთა ერთ-ერთ სახეობად დარჩებოდა.

ფაქტია, რომ პიროვნება კაცობრიობის მთავარი ღირებულებაა. ადამიანის სრულყოფილებისთვის აუცილებელია ეროვნულობა და სახელმწიფოებრივი გარემო. საზოგადოება უნდა იყოს ეროვნული და იცავდეს სახელმწიფო. სრულყოფილი ადამიანის ბუნებრივი უფლებაა ჰქონდეს ეროვნება, იყოს საზოგადოების წევრი და იცხოვროს უსაფრთხო გარემოში. ლიბერალისტური იდეოლოგია პიროვნების სამივე ამ უფლებას არღვევს; ერის სასიცოცხლო სივრცეში კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობით, ეროვნული საზოგადოების თვითმყოფადობას ებრძვის, საზოგადოების იგნორირებას ახდენს და თავისი იდეოლოგიური მისწრაფებებით სამართლებრივ სივრცეში საფრთხეს წარმოადგენს.

იდეოლოგიზებულია არა მარტო საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება, არამედ დასავლური კულტურაც, სპორტიც, მეცნიერებაც, განათლებაც. იდეოლოგიზებული გონება არა მხოლოდ საზოგადოებიდან, ბუნებრივი რეალობიდანაც გადის, წარმოსახვით სამყაროშია და ამ სამყაროს გარეთ არსებულის იგნორირებას ახდენს.

საზოგადოების იგნორირების მკაფიო მაგალითია პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ბრძოლა, გავლენის მოსაპოვებლად სასამართლოში და საზოგადოებრივ ტელევიზიაში.

ის სასამართლოა სამართლიანი და ის ტელევიზიაა თავისუფალი, რომელიც გავლენების მიღმაა, უპირველეს ყოვლისა, იდეოლოგიური გავლენებისა.

ყველა იბრძვის სასამართლოსთვის, ყველა იბრძვის საზოგადოებრივი ტელევიზიისთვის, გარდა საზოგადოებისა. პარტიები და არასამთავრობო ორგანიზაციები, საზოგადოების სახელით, საზოგადოების უგულებელყოფას ახდენენ. დროა, საზოგადოებამ თავის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღოს; მეცნიერებათა აკადემია, მეწარმეთა, ფერმერთა ასოციაციები, მწერალთა კავშირი, თეატრალური საზოგადოება, ექიმთა გაერთიანება, ეკონომისტთა კავშირი, მხატვართა კავშირი, იურისტთა კავშირი, პროფ. კავშირი, მუსიკალური საზოგადოება, ჟურნალისტთა კავშირი, განათლების მუშაკთა გაერთიანება, სპორტული ფედერაციები, რომლებიც მთელ საზოგადოებრივ დოვლათს, მატერიალურ და სულიერ ღირებულებებს, კულტურულ ფასეულობებს ქმნიან, ქვეყნის ბიუჯეტს ავსებენ, პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ძალადობის მსხვერპლი არიან, რომლებიც „დემოკრატიის“ სახელით თავიანთ შეხედულებებს ახვევენ თავზე.

წავიდა, ბატონებო, დემოკრატიის, მოქალაქისა და ხალხის დრო, ასპარეზზე უნდა გამოვიდეს მისი აღმატებულება – საზოგადოება, რომლის ელემენტი პიროვნებაა, ინდივიდსა და მოქალაქეს თავის თავში მოიცავს, სრულყოფილია, თავისუფალია და სიკეთისა და ბოროტების ორპოლუსიან სისტემაზე მოძრაობით თავის თავს თავად ადგენს.

ადამიანის ღვთაებრივი დანიშნულებაა – შექმნას, ღვთის ხატად გაჩენილი, ღმერთობას ეზიაროს. ზიარებისას ადამიანი ქმნის (საეკლესიო ზიარებაზე არ ვსაუბრობ). ის ღმერთობაშია, კულტურულ სივრცეშია და ეს სივრცე ყველასთვის ხელმისაწვდომია. იდეოლოგიური შეჭრა ამ სივრცეში საზოგადოებაზე ძალადობაა, რაც საზოგადოების განვითარებას აფერხებს.

საზოგადოებამ, როგორც უფრო მაღალმა ღირებულებამ, თავისი უსაფრთხოების მიზნით, უნდა დაიქვემდებარობს სახელმწიფო და ხელისუფლება თავის სამსახოვნებაში გადაანაწილოს. ზემოთ ვისაუბრეთ, რომ აუცილებელია, დარგობრივ გაერთიანებებში შეიქმნას პოლიტიკური საბჭოები და შიდა არჩევნების გზით, დარგებიდან არჩეულებმა ორპალატიან პარლამენტში შექმნან დარგობრივი წარმომადგენლობა და დარგობრივი კომიტეტები, რომლებიც შესაბამისი დარგის პოლიტიკურ საბჭოებთან თანამშრომლობით, შეიმუშავებენ დარგის განვითარების კონცეფციას, რომელსაც პარლამენტი დაამტკიცებს.

საზოგადოების ყველა წევრი რომ სარგებლობდეს არჩევის უფლებით, ორპალატიან პარლამენტში, დარგობრივ წარმომადგენლობასთან ერთად, უნდა იყოს ტერიტორიული წარმომადგენლობა; სოფლის, დაბის საზოგადოებებმა უნდა აირჩიონ წარმომადგენლები რაიონის საკრებულოში, რაიონის საკრებულომ, თავისი რიგებიდან, შიდა არჩევნების გზით, აირჩიოს წარმომადგენელი პარლამენტში.

ქალაქის საზოგადოება, რაიონების, ან უბნების მიხედვით, აირჩევს წარმომადგენელს ქალაქის საკრებულოში და ქალაქის საკრებულო, თავისი რიგებიდან, შიდა არჩევნების გზით, აირჩევს წარმომადგენელს, ან წარმომადგენლებს პარლამენტში.

მხოლოდ პარლამენტის თავმჯდომარე ისაუბრებს საზოგადოების სახელით.

საზოგადოების ყველა წევრს უფლება ეძლევა, პარლამენტში ორი რჩეული ჰყავდეს. მაგალითად, პედაგოგს პარლამენტში დარგობრივი წარმომადგენელიც ეყოლება და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ტერიტორიული წარმომადგენელიც.

საჭირო არ იქნება საერთო-სახალხო არჩევნები, პარტიების – ცრუ დაპირებების მოსმენა, ადამიანთა – უთავმოყვარეო ქება თავისა, დაიზოგება ფული, ამომრჩევლის ნებაზე საინფორმაციო საშუალებები ვერ მოახდენენ გავლენას და, ბოლოს და ბოლოს, გვეცოდინება, ვის ვირჩევთ ხელისუფლებაში.

(პროპორციულ არჩევნებში, პარტიიდან ვიცნობთ ორ-სამ კაცს, ისიც ლაყბობით, მათ უკან სიაში მთელი არმიაა და აზრზე არა ვართ, ხმის მიცემით, ვის ვუგდებთ ხელში ძალაუფლებას).

საზოგადოების სამსახოვნების დაცვის მიზნით, აღმასრულებელ ხელისუფლებაში უნდა შეიქმნას ეროვნული საბჭო და უსაფრთხოების საბჭო. ეს აუცილებელია ხელისუფლებაში საზოგადოების სრულყოფილად წარმოსაჩენად; საზოგადოებრივ პარლამენტთან ერთად, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების მიზნით, იმუშავებს ეროვნული საბჭო და სამართლებრივ სივრცეში, უსაფრთხოების დაცვის მიზნით, იმუშავებს უსაფრთხოების საბჭო. მხოლოდ ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე იქნება უფლებამოსილი, ილაპარაკოს და იმოქმედოს ერის სახელით. საბჭოს პასუხისმგებლობის ქვეშ იქნება ერის სასიცოცხლო სივრცე – მიწა-წყალი, ტყე, წიაღისეული, კულტურის ძეგლთა დაცვა, კულტურის განვითარება, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება, მუზეუმების საქმიანობა და ასე შემდეგ....

ეროვნულ საბჭოში მომზადდება ყველა ის კანონპროექტი, რომელიც ერთან იქნება დაკავშირებული.

უსაფრთხოების საბჭოს თავმჯდომარეს, პარლამენტის თავმჯდომარის წარდგინებით, პარლამენტი დაამტკიცებს. საბჭოს შემადგენლობაში იქნებიან მინისტრები, რომლებსაც, უსაფრთხოების საბჭოს თავმჯდომრის წარდგინებით დაამტკიცებს პარლამენტი. ყველა სამინისტრო უსაფრთხოების სამსახური იქნება. მაგალითად, განათლების სამინისტრო ვერ განსაზღვრავს პოლიტიკას განათლებაში, ვერ მართავს სისტემას. მას უფლება ექნება, საგანმანათლებლო საქმიანობაში, საფრთხის შემცველი მოვლენის გაჩენისთანავე ჩაერიოს და საფრთხე აღმოფხვრას. სამინისტროს უნდა ჰქონდეს უფლება რეკომენდაციების გაცემისა, მათ შორის ეროვნულ საბჭოსთან ერთად შემუშავებული სავალდებულო რეკომენდაციებისა, რომელსაც პარლამენტი დაამტკიცებს.

უსაფრთხოების საბჭოს სამოქმედო არეალში მოექცევა საგარეო და საშინაო საფრთხეები, დარგობრივი და ტერიტორიული საფრთხეები, საზოგადოებრივი, ეროვნული და სახელმწიფოებრივი საფრთხეები, ინდივიდის, პიროვნებისა და მოქალაქის უფლებრივი საფრთხეები.

სახელმწიფოს სახელით ისაუბრებს მხოლოდ უსაფრთხოების საბჭოს თავმჯდომარე.

საზოგადოების ძალა საპარლამენტო რესპუბლიკაში წარმოდგენილი იქნება, როგორც გონების ძალა, ინტელექტის ძალა. სახელმწიფოს მმართველობითი ფორმა იქნება – ინტელექტოკრატიული საპარლამენტო რესპუბლიკა („ინტელექტოკრატია“ არ უკავშირდება ინტელექტუალიზმს, როგორც ფილოსოფიურ მოძღვრებას სენსუალიზმის საპირისპიროდ). ინტელექტოკრატია ნიშნავს გონების ძალას ხელისუფლებაში. გონიერება ასოცირდება პიროვნებასთან, პიროვნება საზოგადოების შემადგენელი ელემენტია, მაშასადამე, პიროვნების გონების ძალა კოდირებულია საზოგადოების ძალაში. ინტელექტოკრატიული მმართველობა საზოგადოების ძალაა ხელისუფლებაში.

ეს გახლავთ ზოგადი პრინციპები საზოგადოების ჩართულობისა სახელმწიფოს მმართველობაში.

წავიდა დრო ღვთივკურთხეული და ხალხის არჩეული მოძალადეებისა. ისტორიულ სანაგვეზე აღმოჩნდებიან იდეოლოგიური ავადმყოფები და ინტელექტოკრატიული მმართველობა შეგვიყვანს ახალ რეალობაში. ეს გარდაუვალი კანონზომიერებაა, რომელსაც იარაღის ჟღარუნი ვერაფერს დააკლებს.



ჯუმბერ სარდლიშვილი
ტელ: 599 24-40-24

განხეთქილების ნინია

(მესამე გვერდიდან) **„მე ძალიან დამწყდება გული, თუ გედი ფოფხაძე დატოვებს უმრავლესობას. მე მას შევხვდი და ვთხოვე, არ დაეტოვებინა უმრავლესობა და იმედი მაქვს, არ დატოვებს. თუმცა, კიდევ ერთხელ ვამბობ, დემოკრატიის ამ ხარისხის პირობებში, უმრავლესობის ერთ ხმაზე ყოფნა გამორიცხულია და არასასურველიც არის“,** – განაცხადა პრემიერმა.

„საპარლამენტო უმრავლესობა აგრძელებს მუშაობას. იყო რამდენიმე უსიამოვნო შემთხვევა, გადაცდომა, მათ შორის, გედი ფოფხაძის მხრიდან. სამწუხაროდ, გედი ფოფხაძემ მძიმე შეურაცხყოფა მიაყენა თავის თანაგუნდელებს და ეს ქნა რელიგიური თემით სპეკულირების ფონზე. ჩვენ ასეთ საკითხებს განვიხილავთ და დარწმუნებული ვარ, ასეთ ფაქტებს მომავალში ადგილი არ ექნება“, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ამ ერთმანეთისგან განსხვავებულ მოსაზრებასთან ერთად, თუ რამდენიმე დღის წინათ რუსეთთან მიმართებაში, პრემიერ-მინისტრის მიერ გადადგმული პოზიტიური ნაბიჯების საწინააღმდეგოდ „შესრულებულ სვლას“, როდესაც საქართველოში შვეიცარიის საელჩოდან ე.წ. „რუსი დიპლომატი“ გააძევეს, შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ ქართულ ოცნებაში პრემიერის გუნდსა და უმრავლესობის მმართველ ფრთას შორის განხეთქილებაა. განხეთქილება, რომელიც ფასეულობების, ქვეყნის მომავლის ხედვის შესახებ აბსოლუტურად განსხვავებულ პოზიციებიდან არის გამოწვეული.

თუ კვირიკაშვილი უფრო „ეროვნულს აწვება“, დეპუტატთა გარკვეული ჯგუფი ძალიან ემგვანება ევროპული საქართველოს იდეების გამტარებელს.

რაც შეეხება თავიანთ გადაწყვეტილებებში „ჩამოუყალიბებელ“ დეპუტატებს, ესეც ნათლად გვაჩვენებს, რომ საპარლამენტო უმრავლესობა საკმაოდ უცნაურად იმართება.

ამ გადმოსახედიდან თავად ბოდიშების არსი ძალიან მარტივია. სამწუხაროდ აღმოჩნდა, რომ პარლამენტარები საერთოდ არ იცნობენ ხალხის აზრს არა მხოლოდ ამა თუ იმ „მოღვაწის“, არამედ ხალხის განწყობას სხვადასხვა მორალური თუ ზნეობრივი ფასეულობების შესახებ.

ისინი თითქოს იზოლირებულ კაფსულაში არიან მოქცეული, განსაზღვრული აქვთ რაღაც პრიორიტეტები და თვლიან, რომ ხალხისთვის ამ პრიორიტეტების ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით მიწოდება არის ჭეშმარიტების ღაღადი, რომელიც ჩვენ, გაუნათლებელ მასას, არ გვესმის.

ცხადია, რომ ყველა ინფორმაციაზე მათ ხელი არ მიუწვდებათ. ამისთვის უნდა ჰყავდეთ შესაბამისი თანამშრომლები, რომლებიც მიაწვდიან არა ვიღაც საეჭვო ფასეულობების მატარებელი ხალხის ხედვის ნაყოფს და ვიღაც გოგოშკების მიერ ფეისბუქიდან ამოღებულ საქებარ სტატუსებს, არამედ რეალურ, მშრალ ინფორმაციას, რომლის ანალიზი კვირაში ერთხელ მაინც უნდა ჩაატარონ.

ნინია კაკაბაძის ყოფნა საზმაუს ბორდში დიდ ტრაგედიას არ წარმოადგენს, მაგრამ კოლექტიური ნინიები, რომლებიც ჩაბუდდნენ სახალხო დამცველის ინსტიტუტში, ნინიები, რომლებიც ესწრებიან ყველა შეკრებას, სადაც ქვეყნისთვის საჭირბოროტო საკითხების გადაჭრა ხდება და ხმის უფლებას ფლობენ, ნინიები, რომლებსაც მონოპოლიზებული აქვთ საინფორმაციო სივრცე, არა მხოლოდ დეპუტატების ე.წ „უხერხულ გაწითლებას“ იწვევენ, არამედ ამწვავებენ ქვეყანაში უკვე არსებული დაძაბულობის მუხტს.

საქართველოს პარლამენტის წევრმა არ უნდა მიიღოს მოსახლეობის უმრავლესობის საწინააღმდეგო, საკუთარი პრინციპების და მორალურად გაუმართლებელი გადაწყვეტილება. ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ ისეთ ფორსმაჟორულ სიტუაციაში, როდესაც შედეგი ჯერ არ ჩანს და საბოლოოდ ხალხისთვის სასარგებლო იქნება. სამწუხაროდ, ყოვლად უაზრო შეთანხმება რაღაც კვოტირების შესახებ, არამც თუ რაიმე დადებითი შედეგის მომტანია, პირიქით, თავისი არსით ეწინააღმდეგება ამომრჩეველთა აშკარა უმრავლესობის ნებას. რაც შეეხება ამ ე.წ. „კვოტირებას“, ვიტყვი რომ კვოტირება ჯანსაღი პოლიტიკის და ქვეყანაში დემოკრატიისკენ სვლის ნაწილია, მაგრამ კვოტირების პრინციპის უპატივცემულობა, პოლიტიკური უკულტურობა მაშინ მჟღავნდება, როდესაც მეორე მხარეს პოლიტიკოსები დგანან და არა სისხლის სამართლის დამნაშავეები.

თავად მოუსვენარმა ნინიამ კიდევ ერთხელ „იხუმრა“, რითაც არა მხოლოდ თავისი თავი წარმოაჩინა (ეგ ისედაც ვიცოდით), არამედ კიდევ ერთი ქვა ისროლა მისი მხარდამჭერების ბოსტანში.

ნინია კაკაბაძემ სოციალურ ქსელში გაავრცელა ნიუსი, რომელსაც თან დართული ჰქონდა ფოტო, რომელზეც ასახული იყო პატრიარქთან შეხვედრაზე მყოფი ნინია კაკაბაძე და გოგი გვახარია.

პოსტის შინაარსი კი გახლდათ შემდეგი: **„მე და გოგის საპატრიარქოში მისვლა გვთხოვეს უწმინდესთან შესახვედრად. საუბარმა ძალიან მშვიდ და კეთილგანწყობილ გარემოში ჩაიარა. მიხარია, რომ პატრიარქი არ ჰგავს მისი მრევლის იმ წევრებს, რომელნიც ასეთი დაუნდობელნი არიან ჩვენ მიმართ.**

მან სიყვარულისკენ და შენდობისკენ მოგვიწოდა. გვითხრა, რომ წყენას არ ატარებს და ჩვენც იგივეს გვთხოვს. რაც შეეხება კრიტიკას, თავად აღნიშნა, რომ კრიტიკა და შეცდომებზე საუბარი, მხოლოდ გააჯანსაღებს ეკლესიას და პირველ რიგში მათთვის არის აუცილებელი. ბედნიერი ვარ, რომ ეს საუბარი შედგა.

ქრისტე აღსდგა ჭეშმარიტად მეგობრებო. გვიყვარდეს ერთმანეთი, რადგან ღმერთი სიყვარულია“, – წერდა კაკაბაძე.

აღმოჩნდა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის ბორდის წევრმა ე. წ. „ფეიქ ნიუსი“ გაავრცელა და ასე „იხუმრა“.

ჩემი აზრით მსგავსი „ხუმარების“ ადგილი ნამდვილად არ უნდა იყოს საზოგადოების ინტერესების სფეროში და ბოდიში ყველამ უნდა მოიხადოს, ვინც ამ არსების გაპიარებას უწყობს ხელს.

რაც შეეხება ქალბატონი მარიამის და ბატონი თამაზის განცხადებებს, ვიტყვი, რომ დადებითი მოვლენაა იმ ფონზე, რომლითაც უმაღლესი ხელისუფალნი არ თვლიან თავს ანგარიშვალდებულად ხალხის წინაშე.

იმედი მაქვს, რომ ეს პრეცედენტი უფრო გაღრმავდება და მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნების წინა პროცესები აშკარას გახდის მმართველ პარტიაში არსებულ პრობლემებს და გამოკვეთს იმ დაჯგუფებებს, რომლებიც თანდათან უფრო აქტიურად გამოდიან ასპარეზზე.

გია გაბრიჭიძე

საადღგომო ეპისტოლე უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილია II-ისა

ქრისტესმოყვარე ერო: არ შეუშინდე თავს დატეხილ განსაცდელს!

„დაინთქა სიკვდილი ძლევითა!“
(ფს. 25.8)

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, ჩემო საყვარელო სულიერო შვილებო, საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის წევრნო, სამშობლოში მკვიდრნო და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებო თანამემამულენო,

ქრისტე აღდგა!

მენელსაცხებლე დედებთან და მაცხოვრის მოწაფეებთან ერთად საფლავის ლოდსა ზედა მჯდომარე ანგელოზი ჩვენც გვამცნობს, რომ ჯვარცმული ღმერთი საფლავში აღარ არის, რომ

ქრისტე აღდგა!

აღდგა ღმერთი, უძლურთა ძლიერება, მდაბალთა აღმაღლება, მოკვდავთა უკვდავებაჯ.

„სად არიან დამბეჭდველნი საფლავისანი? სად არის დასი პილატესი და მხედარნი, რომელნიც სცვიდენ აკლდამასა?“

„სად არის, სიკვდილო, საწერტელი შენი, სად არის ჯოჯოხეთო, ძლევაი შენი?“

მოვედით, ერნო, ვადიდებდეთ სამებასა ყოვლადწმიდასა და ვმადლობდეთ აღდგომილსა მხოლოდშობილსა ძესა და სიტყვასა.

„ქება შენდა ქრისტე, ქება შენდა და დიდებაჯ მოსვლასა შენსა, დიდებაჯ ჯვარცმასა შენსა, დაფვლასა და აღდგომასა.“

დღეს ტარიგი უფლისა საზეპურო სუფრაზე გვიხმობს და არა აქვს გარჩევა მდიდრისა და გლახაკისა, უბირისა და განსწავლულისა, ყრმისა და ხანდაზმულისა; ტრაპეზი გაშლილია და ლხინი განმზადებული.

მიწვეულია ყველა, ვინც გააცნობიერა ამქვეყნიური ცხოვრების აზრი, ვინც მადლიერებით მიიღო იესოს გამომხსნელობითი ღვაწლი და ნათლობით ქრისტესთან შეერთებულს სურს, მასთან ერთად აღდგომა;

მათ კი, რომელთაც ჯერ არ გაუაზრებიათ მომხდარის სიღრმე და თავისი ამქვეყნიური მისია, მოკლედ შევახსენებთ შემდეგს:

ბიბლია გვასწავლის, რომ დედამიწაც და მთელი სამყაროც უფლის დიდების გამოვლინებაა. ღვთის ხატად და მსგავსად შეიქმნენ ჩვენი პირველმშობლები და ხილული ქვეყნის პატრონად და განმგებელად დადგინდნენ; მათი სრულქმნა დღე-ყოველ წარემართებოდა და სულიერ კიბეზე ზესვლა ხორციელდებოდა.

ამასთან, ადამსა და ევას მიეცათ კურთხევა, რომ გამრავლებულიყვნენ და მოეცვათ ქვეყანა. ამით დაეკისრათ პასუხისმგებლობა, შთამომავალნიც აღეზარდათ ღვთისადმი რწმენით და იმ სულისკვეთებით, რომ ზედმიწევნით აღესრულებინათ უფლისგან მიცემული აკრძალვა (არ ეგემათ კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხის ნაყოფი), რათა სრული ჰარმონია ყოფილიყო შემოქმედსა და ქმნილებას შორის.

ღმერთი სიყვარულია და სამყაროშიც ეს გრძნობა სუფევდა. ამიტომაც, დაცემამდელი ადამიანების მდგომარეობა იყო სიყვარულით, სიხარულით, ღვთისა და ერთმანეთისადმი მსახურებით აღსავსე სიცოცხლე.

მაგრამ ეს ნეტარებითი ცხოვრება დასრულდა. დასრულდა იგი მას შემდეგ, როცა ადამმა და ევამ აღარ შეასრულეს მიცემული მცნება, ერწმუნნენ შურით აღძრულ ბოროტ ძალას და მისი რჩევისამებრ მოიქცნენ.

ასეთმა ქმედებამ ისინი ღვთის მადლს განაშორა, გამოიწვია მათი ხორციელი და სულიერი სიკვდილი და ეს მდგომარეობა შთამომავლებსაც მემკვიდრეობით გადაეცათ.

დაცემა მოხდა იმიტომ, რომ ადამმა და ევამ, გველის შეგონებით, მოინდომეს, ღვთის გარეშე გამხდარიყვნენ უფრო დამოუკიდებელნი და შემოქმედს გატოლებოდნენ. არადა, ბოროტმა შესაქმის გვირგვინს სიცრუითა და მზაკვრობით სწორედ თავისუფალება წაართვა და ცოდვას დაამონა. ამის გამო განეძარცვათ მათ ცხოველსმყოფელი მადლი ღმერთშემოსილობისა, საღვთო სიკეთეთა სულიერი ხედვის უნარი, სულიერი უმანკოება და უვნებობა ეგოისტური ზრახვებითა და ვნებებით შეეცვალათ და მწუხარება და განსაცდელი თანამგზავრად ექიათ.

ღვთისგან გაუცხოებულმა ცხოვრების წესმა სხვადასხვა ეპოქასა და სივრცეში სხვადასხვა გამოვლინება ჰპოვა. ჩვენს დროში კი განსაკუთრებული სიმწვავე შეიძინა.

ყველგან თვალშისაცემია ტრადიციულ ღირებულებათა მოსპობის, პატრიოტული სულისკვეთების დაკნინების, ეროვნული მეობის გაქრობის ტენდენცია. დიდია მცდელობა ზოგიერთი მძიმე ცოდვის ბუნებრივ მდგომარეობად გამოცხადებისა, მასმედიითაც, ნებსით თუ უნებლიეთ, ხშირად ხელი ეწყობა აგრესიისა და უზნეობის, ნარკომანიისა და აზარტული თამაშების პროპაგანდას; ბილწსიტყვაობა, ტყუილი, ცინიზმი, საჯარო შეურაცხყოფა – ჩვეულებრივ მოვლენად იქცა;

გაჩნდა გრძნობა დაუცველობისა და ხვალინდელი დღის შიშისა, სულიერი სიცარილის ფონზე ახალგაზრდებში გახშირდა თვითმკვლელობა, რისი ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ მოქმედებენ გარკვეული ჯგუფები, რომელნიც მოზარდებს სხვადასხვა სახით აიძულებენ, სიცოცხლე ამ სახით დაამთავრონ. დაეცა განათლების დონე, მოზარდი თაობა ინტერნეტს მიეჯაჭვა და წიგნი დაივიწყა. დაიკარგა უფროსის პატივისცემა, ებრძვიან ავტორიტეტებს, ქმნიან ახალი „ღირებულებების“ შესაბამის პერსონებს და მათ წარმოაჩენენ მისაბაძად.

ამ მოვლენებს მეტ-ნაკლებად საქართველოშიც აქვს ადგილი. ჩვენთან დიდია უმუშევართა, სოციალურად დაუცველთა და უცხოეთში სამუშაოდ წასულთა რიცხვი; იცლება სოფლები და რაიონები; დამაფიქრებელია ხალხის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემებიც, რასაც ხშირ შემთხვევაში სტრესული მდგომარეობა და მდარე პროდუქტებით კვება იწვევს.

შემოტევაა ეკლესიაზე და მრავალწლიანი მცდელობა, შეურყიონ ხალხს მისდამი სიყვარული. მავანნი შეურაცხყოფენ სიწმინდეებს, რელიგიურ გრძნობებს და განუკითხაობით ხარობენ.

ყურადღება მინდა, შევაჩერო დემოგრაფიულ საკითხზე.

როგორც სპეციალისტები ამბობენ, მოკლე დროში ნავარაუდევია მოსახლეობის 28% -ით კლება, რაც ისედაც მცირერიცხოვანი ჩვენი ერისთვის უმძიმესი შედეგის მომტანი იქნება.

ამ საგანგაშო მდგომარეობის ნაწილობრივ მაინც გამოსწორებისათვის, ჩვენი აზრით, აუცილებელია აბორტის, როგორც უმძიმესი ცოდვის, საწინააღმდეგო განწყობის შექმნა და პირველ ეტაპზე მრავალშვილიანი ოჯახების გარკვეული ნაწილისთვის ცალკე კანონის შემუშავება, რათა მათ დასახმარებლად ქმედითი ნაბიჯები გადაიდგას.

უნდა შევნიშნოთ, რომ, **როდესაც ჩვენს ხალხზე ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს მსგავს, და ზოგ შემთხვევაში, უარეს მდგომარეობაში მყოფი, საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის მოქალაქეები. ვგულისხმობ, მაგალითად, აფხაზებს, უდინებს, ქისტებს, ჩერქეზებს, ოსებს, ასირიელებს, ლეკებს, ეზიდებს და სხვათ.**

კარგი იქნება, ქვეყანამ განსაკუთრებული პირობები შეუქმნას როგორც ქართველ, ისე ამ ეთნიკური წარმომავლობის იმ ოჯახებს, რომელთაც ოთხი და მეტი შვილი ჰყავთ და გაუწიოს მნიშვნელოვანი მატერიალური დახმარება, რაც უნდა მატულობდეს შვილთა რაოდენობის ზრდის მიხედვით. ოჯახებმა უნდა იგრძნონ, რომ სახელმწიფო ზრუნავს მათზე და მადლიერია მათი თავდადებისა.

ხოლო, როდესაც საქართველო ეკონომიურად გაძლიერდება, შეღავათები უნდა გავრცელდეს საერთოდ ყველა მრავალშვილიანზე.

ზემოთქმულზე, რა თქმა უნდა, დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება ხელისუფლებას, სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებში მომუშავეთ, მასმედიასა და ეკლესიას, განსაკუთრებით კი – კანონმდებელთ.

მინდა, მივმართო საქართველოს მოსახლეობას, ჩვენს გაუტეხელ, ქრისტესმოყვარე ერს: არ შეუშინდეთ დროის გამოწვევებს, თავს დატეხილ განსაცდელთ, პრობლემათა სიმრავლეს.

ჩვენ მაცხოვრის ეკლესიის წევრნი ვართ და ისეთი ბედნიერება გვაქვს მონიჭებული, რომ ვერავითარი გარემოპირობები ამ სიხარულს ვერ დაჩრდილავს.

რა სიხარულია ეს?

ეს არის სიხარული, უპირველეს ყოვლისა, იმისა, რომ ჩვენ გამოხსნილნი ვართ! მოხდა სასწაული, რომელსაც ათასობით წლის მანძილზე ელოდებოდა ადამის მოდგმა და ეს სწორედ დღევანდელ დღეს განხორციელდა.

სიხარული გვაქვს იმისა, რომ ვინც ქრისტეს სახელით ჭეშმარიტ ეკლესიაში ინათლება, ღვთისგან, როგორც საბოძვარს იღებს სულიწმინდის მადლს, უფალთან ერთობას და ისეთ სულიერ მდგომარეობას, რომელშიც აღმოფხვრილია ადამისეული ცოდვის ის ფესვი, მთელი თაობები სიკვდილს რომ დაუქვემდებარა.

სიხარული გვაქვს იმისა, რომ ჩვენ გვეძლევა შესაძლებლობა ღვთის შემწეობით და ჩვენი ძალისხმევით მოვიპოვოთ ის მდგომარეობა, რისთვისაც სამოთხეში მყოფ ჩვენს პირველმშობლებს უნდა მიეღწიათ.

იესომ ახალ ერს, ბოროტების ძირისაგან თავისუფალ ახალ კაცობრიობას, დაუდო სათავე და ამიტომაც იწოდება მეორე ადამად; პირველი ადამისგან სიკვდილი შემოვიდა, მეორესგან კი – სიცოცხლე. **„და როგორც ადამში კვდებიან ყველანი, ისე ქრისტეში იცოცხლებს ყველა“** (I კორ.15,22)

მაგრამ ჩვენი ცხონებისთვის – ფიზიკური და სულიერი სიკვდილისაგან გათავისუფლებისათვის – ქრისტიანად გახდომა არ არის საკმარისი, რადგან მაცხოვარმა ზოგადადამიანური ბუნება გამოიხსნა და, როგორც სამოთხეში, ახლაც კვლავ თავისუფალი არჩევანი შემოგვთავაზა.

ჩვენი გადასაწყვეტია, რას მოვინდომებთ – ისევ ცოდვებს დამონებულ ყოფას თუ ცხოვრების იმ წესს, რომლის მაგალითიც ამ ქვეყნად ღმერთმა მოგვცა.

„სოფელი ბოროტსა ზედა დგას“ და, ბუნებრივია, ადვილად არ დათმობს ადამიანებს. ამიტომაც მორწმუნეთ სერიოზული წინააღმდეგობების დაძლევა უხდებათ და ყოველდღიური ბრძოლა საბოლოო გამარჯვებისთვის;

არსებული ყოფა არის ასპარეზი ჩვენი პიროვნების წარმოსაჩენად და რამდენადაც ეს გარემო დაშორებული იქნება ქრისტიანულ ღირებულებებს, იმდენად დიდი ძალისხმევა დაგვჭირდება მიზნის მისაღწევად, თუმცა საზღაური შესაბამისივე იქნება ცათა შინა.

ჩვენს ყოველ მოქმედებას უდიდესი დატვირთვა აქვს, რადგან იმქვეყნად კარგი და ცუდი საქმეებიც სხვა მასშტაბით გამოვლინდება და ჩვენს იქაურ შესაძლებლობებს განაპირობებს.

მორწმუნე გაჭირვების ჟამს ხშირად სთხოვს დახმარებას წმინდანებს, ანგელოზებს, ღვთისმშობელს...

გავიხსენოთ, მაგალითად, წმინდა გიორგი და წმინდა ნიკოლოზი; ერთმა დიდმოწამეობით დაამოწმა ქრისტეს სიყვარული და მისი მცნებების ერთგულება, მეორემ კი – საკვირველი ღვთისსათნო ცხოვრებით; ისინი კონკრეტულ ადგილას და კონკრეტულ დროში მოღვაწეობდნენ, მაგრამ გარდაცვალების შემდეგ ყველა გულმხურვალე მლოცველის შემწე და მფარველნი გახდნენ ყველა ეპოქაში.

აღარაფერს ვამბობთ მოციქულებზე და ღვთისმშობელზე.

ასეთი საოცარი პოტენციალია ჩადებული თითოეულ ჩვენგანში!

და მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული, ხარისხობრივად რა მდგომარეობას განვიკუთვნებთ ზეცაში ან ქვესკნელში.

როგორია ჩვენი გული და გონება? როგორ ნიადაგს დაახვედრებს იგი ღვთის სიტყვას? ნარ-ეკლიანს? სადაც ვერაფერი გაიხარებს; კლდოვანს? სადაც აღმოცენებული ნერგი მალე გახმება, თუ ნოყიერ მიწას, დიდი ხეც რომ ადვილად ფესვს გაიდგამს?

უფლის სამეფო არის ჭეშმარიტი რწმენითა და სიყვარულით გაერთიანებულ პიროვნებათა კრებული, რომელიც ცხოვრობს ურთიერთსიყვარულითა და ურთიერთმსახურებით, იმ წესით, დაცემამდელ ადამიანებს რომ ჰქონდათ და შემდეგ ჯვარცმულმა იესომ აღგვიდგინა.

უფლის სამეფო არის იქ, სადაც მორწმუნენი სათნოებებით არიან შემოსილნი, ღვთის დიდებასა და მასთან ერთობას ესწრაფვიან და შთამომავლობასაც ამ პრინციპით ზრდიან.

უფლის სამეფო არის იქ, სადაც, თუნდაც დიდი შეცდომების მიუხედავად, დიდი სინანულია, სადაც მუდმივი ხსოვნაა ზეციური სასუფევლისა.

უფლის სამეფო დედამიწაზე ქრისტეს ეკლესიაა და აქ უხმობს იგი გადარჩენის ყველა მსურველს.

ამ წიაღის განუყოფელ ნაწილად გახდომა უნდა იყოს ჩვენი უმთავრესი მიზანი და ამოცანა.

გავიხსენოთ როგორ გვარიგებს ძე ღვთისა: **„ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღვთისასა და სიმართელესა მისსა და ესე ყოველი შეგეძინოს თქვენ“** (მათე 6, 33)

მისგან ნასწავლებ ლოცვაშიც ვამბობთ: **„მოვედინ სუფევა შენი (ანუ შენი მეუფობა), იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა.“**

ვამბობთ ამას იმიტომ, რომ ჩვენი მოვალეობაა, ზეციური მეუფების ცხოვრების წესის დამკვიდრება ჩვენშიც და ჩვენს გარემოშიც და არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, როგორ სახელმწიფო წყობასა და რომელ ეპოქაში მოგვიწევს არსებობა. ჩვენთვის მისაღები უნდა იყოს საზოგადოების მოწყობის ისეთი წესები, რაც ცათა სასუფეველთან არ დაგვაპირისპირებს.

თუ ჩვენ მკვეთრ წინააღმდეგობაში მოვდივართ შემოთავაზებულ ურთიერთობებთან და კანონებთან, ჩვენი პროტესტი უნდა იყოს მკაფიო, მაგრამ ღირსეული, რომ არ დავაზარალოთ იდეა, რასაც ვიცავთ, არ დავაზიანოთ სხვისი და საკუთარი სული.

სიყვარულია, რისი აღსრულებაც ამქვეყნად გვევალება. ქმედითი, ცოცხალი, ნამდვილი სიყვარული ღვთისა და მოყვასისა.

როგორ შეიძლება ეს გამოვლინდეს? — ქრისტეს სახელით მოყვასისადმი მსახურებაში.

ამიტომაც ბრძანებს იგი: **„მშიოდა, და მეცით მე ჭამადი; მწყუროდა და მასუთ მე; უცხო ვიყავ და შემიწყნარეთ მე; შიშველ ვიყავ და შემმოსეთ მე; სნეულ ვიყავ და მომხედეთ მე; საპყრობილესა ვიყავ, და მოხუედით ჩემდა“** (მათე 25, 35-36).

სიყვარული არის საკუთარი ინტერესების ნებაყოფილობითი დათმობა, თავის უარყოფა იმისთვის, ვინც გვიყვარს.

მაგალითად, მშობელი ყველაფერს აკეთებს შვილისათვის და ეს მას სიხარულს ანიჭებს, რადგან უყვარს, ვისთვისაც იღვწის და შვილსაც უყვარს რა მშობელი, მთელი გულით ცდილობს, ასიამოვნოს მას.

უფრო მეტი სიძლიერით უნდა გვიყვარდეს უფალი, რომ მისი ღირსეული შვილები ვიყოთ.

> **ქრისტიანობა არის ერთადერთი რელიგია, სადაც მხოლოდ ადამიანები კი არ ემსახურებიან ღმერთს, არამედ თავად ღმერთი გვიჩვენებს კაცთათვის მსახურების, სიყვარულისა და თავგანწირვის საოცარ მაგალითს და ჩვენს წინაშე წარმოსდგება, როგორც მეფე-მსახური.** (შდრ.: **„ძე კაცისაჲ ... მოვიდა ... მსახურებად და მიცემად სული თვისი“** მათე 20,20; და ახლად ნათელღებულთა პასუხი: **„მრწამს იგი, — ქრისტე, — ვითარცა მეუფე და ღმერთი“**).

ქრისტე, — მეფე-მსახური უნდა იყოს ნიშან-სვეტი ყოველი ქრისტიანისთვის!

საერთოდ არა აქვს მნიშვნელობა თანამდებობრივად ან ქონებრივად, თუნდაც გავლენით, რას წარმოვადგენთ. ყოველ ჩვენგანს, ნებისმიერი სოციალური მდგომარეობის მქონეს, უნდა ჰქონდეს განცდა იმისა, რომ მაცხოვრის მსგავსად, თვითონაც იყოს მეფე-მსახური.

შენ ხარ მეფე იმდენად, რამდენადაც გაქვს უფლება, რომ შენი ცხოვრება თავისუფალი ნებით წარმართო და ღვთისგანვე შენთვის ბოძებული ყველა სხვა ნიჭი და უნარი ამ არჩევანის მიხედვით გამოიყენო.

ამიტომაც, მეფე შეიძლება იყოს ბევრი, მაგრამ მეფე-მსახური — მხოლოდ ჭეშმარიტი ქრისტიანი.

თუ არ ვცხოვრობთ მცნებებით, არა ვართ სათნოებებით შემოსილნი და სხვისი მსახურება თუ არ არის ჩვენი სურვილი, მეფე-მსახურნი, ანუ ჭეშმარიტი ქრისტიანნი, ვერ ვიქნებით, თუნდაც რომ მაღალი სასულიერო წოდება გვქონდეს;

სამწუხაროდ, ადამიანთა დიდი ნაწილი ესწრაფვის, მას მოემსახურონ და მზრუნველობა მასზე გასწიონ, რომ ეგოისტური მოთხოვნილებები დაიკმაყოფილონ. სხვისთვის მსახურება მათთვის ტვირთია ან ღიმილისმომგვრელი მდგომარეობა და, რადგან თავისი ცხოვრების წესის გამო სულიერი სიხარული არ იციან რა არის, ბედნიერებას მხოლოდ წარმავალ, მიწიერ კეთილდღეობაში ეძებენ; ამ ძებნაში კი ცოდვებს ცოდვებზე ამატებენ და ბოროტისაგან სულ უფრო დამონებულნი ხდებიან.

ეკლესიის მისია, რა თქმა უნდა, არის საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც ჩართულობა, მაგრამ უმთავრესია, სიმართლის გზა დაანახოს ხალხს და, ვისაც აქვს სურვილი, მოამზადოს გოლგოთის გავლით ცათა სამეფოს წევრობისათვის.

ამიტომაც განსაცდელების არ უნდა გვეშინოდეს და უნდა ვიცოდეთ: თუ ჭეშმარიტ მორწმუნეთა საზოგადოებად ჩამოვყალიბდებით, ვერავინ დაგვამარცხებს, თუნდაც რომ დიდ ძალას დავუპირისპირდეთ, რადგან ჩვენ კი არა, ჩვენს გვერდით ჩვენს გადასარჩენად მებრძოლი უფალი იქნება უძლეველი და გამარჯვებული.

ფაქტია, ყველას გვინდა ძლიერი, განვითარებული ქვეყანა გვქონდეს. ამის მიღწევა კი მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ საზოგადოებაში სწორ ღირებულებათა სისტემა იარსებებს და ამ საფუძველზე მოხდება პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური პრობლემების მოგვარება. დეზორიენტირებული საზოგადოება კი ქაოსში ჩაიძირება და სახელმწიფოს დიდად დაზარალებს.

მიგვაჩნია, რომ, მართალია, ეკლესია და სახელმწიფო ინსტიტუციონალურად ერთმანეთისაგან გამიჯნული უნდა იყოს და არის კიდეც, მაგრამ ქვეყნის შენების საქმეში აუცილებლად უნდა თანამშრომლობდნენ და ეს ურთიერთობა შეიძლება შეედაროს ადამიანის სულისა და სხეულის კავშირს.

ღვთის მადლით, ჩვენ გადაკვეთის არაერთი სფერო გვაქვს, მაგრამ მინდა გამოვყო აწყურის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძრის აღდგენა-რესტავრაცია, რომელიც ძირითადად სახელმწიფოს ძალისხმევით მიმდინარეობს. ეს ის ეკლესიაა, სადაც პირველი საუკუნიდან დაბრძანებული იყო წმ. ანდრია პირველწოდებულისათვის ყოვლადწმინდა მარიამის მიერ გადაცემული მისი ხელთუქმნელი ხატი ყრმა იესოსთან ერთად.

დღეს, როცა ეს ტაძარი იწყებს განმზადებას ზეციური დედოფლის ხატის დასაბრძანებლად, ახალ სიცოცხლეს იძენს დედა ღვთისას ეს სიტყვებიც, წმ. მოციქულს რომ დააბარა: **„შვილო ანდრია, წააბრძანე სახე ჩემი და სახე ძისა ჩემისა, ქვეყანასა ჩემდა წილხვდომილისა, რათა მე ვიყო განმგებელ ცხოვრებისა მათისა, ხელი აღვუპყრა და შევეწიო და არავინ სძლოს მათ“** (ქართლის ცხოვრება).

„შენ, ზეცისა წვიმისა საწმისო, მარიამ, მხევალო და დედაო და ქალწულო, ცაო ცათაო, მხოლოო ხიდო ღმრთისაო კაცთა მოართ მოსვლისა, ნუ დასცხრები ხსნად სულთა ჩვენთაცა, ამინ!“

ყოველნო ქართველნო, აფხაზნო, ოსნო, ბერძენნო, უკრაინელენო, რუსნო, ებრაელებო, აზერბაიჯანელებო, სომეხნო, უდინნო, იეზიდნო, ასირიელნო, ქურთნო, ინგუშებო, ჩერქეზებო, ჩეჩნებო, ლეკნო... ყოველნო მკვიდრნო საქართველოისა და საზღვრებს გარეთ მცხოვრებო თანამემამულენო,

ქრისტე აღდგა!

ინებოს ღმერთმა, საქართველოც აღდგეს!

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი,
ილია II

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
8.04.2018

პირველკლასელთა რეგისტრაცია დაიწყო

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ პირველკლასელთა რეგისტრაცია 2018-2019 სასწავლო წლისათვის გუშინ დაიწყო.

რეგისტრაცია განხორციელდება 3 ეტაპად:

I ეტაპი: 2018 წელი, 10 აპრილი — 27 აპრილი

რეგისტრაცია განხორციელდება სკოლებში.

რეგისტრირდებიან ის მოსწავლეები:

- რომლის და-ძმაც სწავლობს ამ სკოლაში;
- რომლის მშობელიც სკოლის თანამშრომელია;
- რომლის ოჯახიდან ერთდროულად ორი ან მეტი ბავშვი შედის პირველ კლასში;

I ეტაპზე დარეგისტრირებული მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების მიღება განხორციელდება სკოლაში 30 აპრილი — 07 მაისის ჩათვლით.

II ეტაპი: საყოველთაო ელექტრონული რეგისტრაცია

2018 წელი, 8 მაისი — 8 ივნისის ჩათვლით

შესაძლებელი იქნება იმ ბავშვების რეგისტრაცია, ვინც სკოლაში შესვლის ასაკს აკმაყოფილებს.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში II ეტაპზე რეგისტრირებული მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების მიღება განხორციელდება 11 ივნისიდან 30 ივნისის ჩათვლით.

I და II ეტაპზე მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების განსაზღვრულ ვადებში წარუდგენლობის შემთხვევაში, რეგისტრაცია ავტომატურად უქმდება.

III ეტაპი: 2018 წელი, 02 ივლისი - 16 ივლისის ჩათვლით

რეგისტრაცია განხორციელდება სკოლაში, II ეტაპის დასრულების შემდგომ გამოთავისუფლებულ ვაკანტურ ადგილებზე, მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე.

2018-2019 სასწავლო წელს ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწყების უფლება აქვთ იმ მოსწავლეებს, რომელთა ასაკი შეესაბამება კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ანუ სწავლის დაწყებისთვის უსრულდებათ 6 წელი. 2018-2019 სასწავლო წელი დაიწყება 17 სექტემბერს.

ბელიაშვილზე მომხდარ დაპირისპირებას შინაგან საქმეთა სამინისტრო აფასებს

შინაგან საქმეთა სამინისტრო თბილისში, ბელიაშვილის ქუჩაზე მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით საგამოძიებო მოქმედებებს უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს:

„ადგილობრივ მოსახლეობასა და საქართველოში მცხოვრებ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს შორის მომხდარი სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირების ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით (ძალადობა) მიმდინარეობს. დანაშაული 1-დან 3 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

უკვე დაკითხულია 20-მდე პირი, მათ შორის, კონფლიქტის მონაწილე ორივე მხარე. დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზა. მომხდარი ფაქტის შესახებ ინფორმაციის მქონე პირთა გამოკითხვა ამ დრომდე გრძელდება. გამოძიება მუშაობს დისკრიმინაციული მოტივის გამოკვეთის მიმართულებითაც. მუხლის კვალიფიკაციის საკითხი გადაიხედება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ყველა აუცილებელი საგამოძიებო/საპროცესო მოქმედება დასრულდება და გამოძიებას მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით სრული სურათი ექნება“, — ნათქვამია ინფორმაციაში, რომელსაც უწყება ავრცელებს.

აფრიკელ სტუდენტებსა და ადგილობრივებს შორის იმავე მოედანზე ამხანაგური მატჩი გაიმართება

მინდა, ვთხოვო ლევან კობიაშვილს, კვირის ბოლოს გააკეთოს, თუ არის შესაძლებლობა, ერთი ამხანაგური თამაში იმავე მოედანზე, სასწავლებლად ჩამოსულ აფრიკელ სტუდენტებსა და ადგილობრივებს შორის, — ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ ბელიაშვილის ქუჩაზე მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით განაცხადა.

„მინდა, შევეხო რამდენიმე დღის წინათ მომხდარ ინციდენტს ბელიაშვილის ქუჩაზე, მგონი, არავის არ მოეწონა ის, რაც მოხდა. შეიძლება, ითქვას, რომ თბილისი არის ყველაზე ტოლერანტული ქალაქი და ამას არ ჩამითვლით გადამეტებულად, ამის მაგალითები არსებობს. რაც მოხდა, ამას გამოძიება დაადგენს, მაგრამ ძალიან ცუდი სანახავი იყო. ჩვენ, ქართველებს არ გვჩვევია ასეთი მიდგომები. მინდა, ვთხოვო ლევან კობიაშვილს, კვირის ბოლოს გააკეთოს, თუ არის შესაძლებლობა, ერთი ამხანაგური თამაში იმავე მოედანზე, სასწავლებლად ჩამოსულ აფრიკელ სტუდენტებსა და ადგილობრივებს შორის. ვისაც სურვილი გვაქვს, ჩავერთოთ ამ თამაშში. ძალიან კარგი იქნება, რომ ის ცუდი ლაქა დავიწყებას მიეცეს“, — განაცხადა კახა კალაძემ.

ცნობისთვის, თბილისში, ბელიაშვილის ქუჩაზე, შავკანიანი სტუდენტების ცემის ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება დაიწყო.

ერდოღანს შეუძლია, პუტინი ყარსის ხელშეკრულების შეცვლაშიც დაარწმუნოს

აშშ-ის გაზეთში „The Armenian Mirror-Spectator“ დაბეჭდილ სტატიაში გაანალიზებულია რუსეთისა და დასავლეთის ურთიერთობა, რომელმაც ბოლო დროს „სკრიპალის საქმესთან“ დაკავშირებით, მწვავე ფორმა მიიღო. პარალელურად მასში განხილულია თურქეთის, რუსეთისა და ირანის საგარეოპოლიტიკური ნაბიჯები ახლო აღმოსავლეთში მათი პოზიციების ინტეგრირების მიზნით. ნაჩვენებია აგრეთვე საქართველოს „ანტისომხური“ როლი სამხრეთ კავკასიაში.

„ნიუსპრესი“ გთავაზობთ ედმონდ აზატიანის ავტორობით გამოქვეყნებული პუბლიკაციის შინაარსს:

დასავლეთისა და აღმოსავლეთის დღევანდელ კონფრონტაციაში თურქეთმა თავის თავზე ძალიან მნიშვნელოვანი როლის შესრულება აიღო: აშკარაა, რომ ნატოს წევრმა ანკარამ იმ ბანაკს, რომელშიც იმყოფება, დავთრები აურია, მაგრამ მას ჯერ კიდევ თვლიან „საიმედო მეგობრად“. დასავლეთი თურქეთს ბევრ „გამოხტომას“ უთმენს, მათ შორის — რუსეთთან და ირანთან დაახლოებასაც, გარკვეული დოზით.

ისტორიულად რუსეთი, თურქეთი და ირანი ერთმანეთის მტრები იყვნენ: იყო დრო, როცა ოსმალეთის, სპარსეთისა და რუსეთის იმპერიები დიდ ომებში იყვნენ ჩართული და ერთმანეთის ტერიტორიების ოკუპირებას ახდენდნენ. თუმცა, ისტორიულმა კონფრონტაციამ ხელი ვერ შეუშალა მათ დღევანდელ ინტეგრირებას სირიისა და სხვა პრობლემების ირგვლივ.

რაც უფრო მეტად ქრის ცივი ომის ქარი მსოფლიოში, მით უფრო მეტად ცდილობენ რუსეთი, ირანი და თურქეთი სირიის 7-წლიანი კონფლიქტის მოგვარებას და უფრო მეტიც — ახლო აღმოსავლეთის რეგიონის გარდაქმნას.

საინტერესოა, რომ **მათი პოლიტიკური დაახლოების ჩრდილში კიდევ ერთი სამხედრო კავშირი ყალიბდება: აზერბაიჯანის, თურქეთის და საქართველოს თავდაცვის მინისტრებმა უკვე შეათანხმეს ერთმანეთთან თავიანთი გეგმები.** სხვათა შორის, საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა, რენეგატმა მიხეილ სააკაშვილმა რამდენიმე წლის წინათ, როცა იგი ქვეყნის მმართველი იყო, განაცხადა, აზერბაიჯანის მტერი საქართველოს მტერიც არისო. მართალია, მას შემდეგ საქართველოში რეჟიმი შეიცვალა, მაგრამ, როგორც ჩანს, მთავრობა ანტისომხურ პოლიტიკას მაინც აგრძელებს. არაფერს ვიტყვით საქართველო-აზერბაიჯანის მიერ დადებულ შეთანხმებებზე ვაჭრობისა და კულტურის სფეროში, ეს ნორმალურია, მაგრამ **ის, რომ თბილისი სომხეთის მტერთან სამხედრო ხელშეკრულებებს აფორმებს, ასეთი ქმედება, რბილად რომ ვთქვათ, შემაშფოთებელია.**

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ანკარაში ჩადის, მის კვალს მიჰყვება ირანის პრეზიდენტი ჰასან როუჰანიც. პუტინი და ერდოღანი ატომური ელექტროსადგურის მშენებლობის დაწყების ცერემონიაში მონაწილეობენ (რომელიც რუსული კაპიტალითა და ტექნოლოგიებით რეალიზდება). აქტიურად მიმდინარეობს სტრატეგიული გაზსადენის „თურქული ნაკადის“ მშენებლობაც.

რამდენადაც პრეზიდენტი რეჯეპ ერდოღანი ცდილობს თურქეთის (ტერიტორიებისა და საზღვრების) შესახებ დადებული ისტორიული დოკუმენტების გადასინჯვას (მაგალითად, ლოზანის 1923 წლის ხელშეკრულების შეცვლას), იმდენად იგი შეიძლება ასევე შეეცადოს და დაარწმუნოს ვლადიმერ პუტინი ყარსის 1921 წლის ხელშეკრულების შეცვლასა და მის საბოლოო დასრულებაში.

რასაკვირველია, ყველაზე მთავარი პრობლემა, რომელიც მხარეებმა განიხილეს, ეს სირიის პერსპექტივაა. **საერთო მტრის — „ისლამური სახელმწიფოს“ მიმართ შეთანხმებული პოლიტიკის გატარებისა და ტერორისტთა განადგურების შემდეგ მოსკოვს, ანკარას და თეირანს წინააღმდეგობრივი ინტერესები გაუჩნდათ. მოსკოვმა მიზანი შეისრულა — ბაშარ ასადმა „ტახტი შეინარჩუნა“, თუმცა თურქეთს მისი დამხობა სურდა. თავის მხრივ ამერიკამ სირიელი ქურთები იარაღით უზრუნველყო, რომ მათ აფრინში შეჭრილი თურქეთის არმიისათვის წინააღმდეგობა გაეწიათ.**

თურქეთი აცხადებს — სირიის მიმართ რაიმე ტერიტორიული განზრახვები არ მაქვსო, მაგრამ თუ კვიპროსის პრეზიდენტს გავიხსენებთ, მაშინ უეჭველია, თურქეთის არმია სირიის ტერიტორიიდან არ გავა მანამ, სანამ მისი საზღვრებისათვის ქურთების საფრთხე იარსებებს. რუსეთსა და თურქეთს შორის ამ საკითხში ურთიერთგაგება არსებობს: ანკარა აფრინში თავისი საზღვრების უსაფრთხოებას უზრუნველყოფს, რუსეთი და სირიის ხელისუფლება კი — დამასკოს უსაფრთხოებას, აღმოსავლეთ გუტაში ამბოხებულების განადგურების გზით. მოკლედ, მოსკოვმა ანკარას ქურთების პრობლემის „მოგვარებაში“ სრული უფლება მისცა.

თავისი ინტერესები აქვს ანკარის კონფერენციის მესამე მხარეს — ირანს, რომლის ყოფნა სირიასა და ლიბანში („ჰეზბოლასადმი“ მხარდაჭერით), ისრაელისთვის ანათემას ნიშნავს. ისრაელი ხომ ყოველთვის საბოტაჟს უწევდა ყოველგვარ მშვიდობიან პროცესს, რომელშიც ირანი იყო ჩართული. სწორედ ამიტომაც რეჯეპ ერდოღანმა სამიტის წინ (თეირანთან სოლიდარობის მიზნით) ისრაელის პოლიტიკა გააკრიტიკა ღაზას სექტორში მომხდარი მღელვარების ჩახშობის გამო, რამაც პრემიერი ბენიამინ ნეთანიაჰუ გააღიზიანა. თავის მხრივ, ისრაელმა სომხური გენოციდის კარტი გაათამაშა: საშინაო უსაფრთხოების მინისტრმა გილად ერდანმა ქვეყნის მთავრობას სომხების გენოციდის აღიარებისაკენ მოუწოდა.

როგორც ჩანს, სირიის სამშვიდობო პროცესი, ვითარდება. ფაქტია, რომ რუსეთი, თურქეთი და ირანი კონფლიქტის მათ სასარგებლოდ მოწესრიგებასთან ერთად, სხვა სფეროებში თანამშრომლობასაც აღრმავებენ და იმავდროულად, აშშ-ისა და ისრაელის პოლიტიკური ინტერესებს არ ითვალისწინებენ. ბუნებრივია, რომ თავის მხრივ, ისინიც არ იქნებიან გულხელდაკრეფილნი და არ შეუდგებიან იმის ყურებას, თუ როგორ აღდგება მათი დახმარებით ფერფლისაგან სირია და გაძლიერდება...

ეს დაუსრულებელი ომის რეცეპტს ჰგავს.

კრემლი სოხუმს ბლოკადას უხსნის: აფხაზეთის მოსახლეობამ ფაროსანა 8 დღეში დაამარცხა?

რუსეთი მის მიერვე ოკუპირებულ აფხაზეთს მცენარეულ ემბარგოს უხსნის. რეგიონიდან რუსეთში ყველა სახის მცენარეული პროდუქციისა და მისი შესაფუთი მასალების გადატანის აკრძალვამ, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე საშიში მავნებლის — ფაროსანას გავრცელების გამო გამოცხადდა, სულ 8 დღეს გასტანა.

როგორც ამასთან დაკავშირებით რუსულ „როსსელხოზნადზორში“ განმარტავენ, „აფხაზეთის მოსახლეობამ მობილიზება შეძლო და ფაროსანას გავრცელების კუთხით მდგომარეობა საშიში აღარ არის“.

მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოშიც, სადაც ფაროსანას გავრცელებამ ასევე მნიშვნელოვანი პრობლემები შექმნა, უდავოდ, ძალზე დააინტერესებთ პატარა აფხაზეთის გამოცდილება. შესაძლოა, დიდი თანხებიც კი გადაუხადონ საქართველოს ამ ღატაკ ოკუპირებულ რეგიონს ინფორმაციაში, როგორ მარცხდება 8 დღეში ეს მავნებელი, რომელთან საბრძოლველადაც, როგორც წესი, მილიონობით დოლარი, დიდი დრო იხარჯება და სასურველი შედეგი შეიძლება, მაინც არ დადგეს.

შესაძლოა, ვცდებოდე და აფხაზეთის მოსახლეობამ მსოფლიოს მართლაც უჩვენა სასწაული, თუმცა ეჭვი მღრღნის, რომ აქ საქმე ბევრად მარტივადაა: „როსსელხოზნადზორმა“ ბოლო 8 დღის განმავლობაში საჯაროდ უკვე მეორედ იცრუა.

პირველი — ასევე სრულიად ალოგიკური (და იგი ასეთად არა მარტო თბილისში, არამედ სოხუმშიც შეაფასეს), თანაც ორმაგი ტყუილი რუსულმა უწყებამ იმ დღეს გამოაცხადა, როდესაც ოკუპირებულ აფხაზეთთან თავის ე.წ. საზღვარს კეტავდა. უპირველესად, **ფაროსანა გადამფრენი სახეობაა და, შესაბამისად, „საზღვრების“ ჩაკეტვა მის რუსეთში მოხვედრას ხელს ვერ შეუშლიდა. და მეორე: სრული ბოდვაა „როსსელხოზნადზორის“ ვარაუდი, რომ ფაროსანა „მეზობლებში შესაგზავნად საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ამერიკულ ლაბორატორიებში გამოიყვანეს“.**

თუმცა „როსსელხოზნადზორისა“ და, ზოგადად, რუსეთის ხელისუფლებისგან უარესი ტყუილებიც მრავლად გვსმენია, ამდენად ვინმეს არც ამჯერად გაჰკვირვებია — არც თბილისში, არც სოხუმში.

სხვაობა ერთია: თბილისმა უბრალოდ განაგრძო ფაროსანასთან ბრძოლა და ამავე მიზნით შესაბამისი საშუალებებით სოხუმის დახმარება — „როსსელხოზნადზორის“ ბოდვის კომენტირებაზე დრო არ დაუხარჯავს. აი, სოხუმში კი აღშფოთება ვერ დამალეს — **„ეს ემბარგო ბლოკადის ტოლფასია და ჩვენი სტრატეგიული მოკავშირე მეზობელი ასე არ უნდა გვექცეოდესო“.**

აფხაზების აღშფოთება გასაგებია: ბევრ მეწარმეს ხომ რუსეთთან ე.წ. საზღვრის ჩაკეტვის გამო ბიზნესი ჩაუვარდა, არადა, საბანკო კრედიტებს გასტუმრება სჭირდება. გარდა ამისა, აღშფოთებას იწვევდა აფხაზებში კრემლის ამ ნაბიჯის მორალური ასპექტიც: „გადამფრენ მწერს რომ საზღვარი ვერ აკავებს, ბავშვიც ხვდება და ისედაც გასაჭირში მყოფები „ძმამ“ და „სტრატეგიულმა მოკავშირემ“ ასეთ დროს ბლოკადისთვის როგორ გაგვიმეტაო?!..

შესაძლოა, სწორედ ამ ფონზე აღმოჩნდა ბევრი რიგითი აფხაზისთვის მისაღები ოფიციალური თბილისის ახალი სამშვიდობო ინიციატივები, რომელმაც (არ ვიცი, მიზანმიმართულად თუ შემთხვევით) რუსული ბლოკადის დღეებში გაიჟღერა სხვათა შორის, რუსული ბლოკადისა და ახალი ქართული ინიციატივების გაჟღერების დროში დამთხვევა სოხუმში არ გამოჰპარვიათ. ზოგიერთმა ინტერნეტ-მომხმარებელმა და ჟურნალისტმაც ეჭვი გამოთქვა, „თბილისი და მოსკოვი ჩვენს წინააღმდეგ ხომ არ შეიკრნენო?“

ალბათ, აფხაზების სწორედ ამ განწყობების ფონზე მოეჩვენა კრემლს, რომ მე-8 დღის თავზე ოკუპირებულმა რეგიონმა ფაროსანას პრობლემის დაძლევა მოახერხა. და აი, დღეს მოსკოვმა ოკუპირებულ რეგიონს 8-დღიანი ბლოკადის დასრულება გამოუცხადა.

შეძლებს თუ არა კრემლი აფხაზი მეწარმეების ნდობისა და კეთილგანწყობის დაბრუნებას, თანაც იმდენად, რომ თბილისის უდავოდ მიმზიდველმა წინადადებებმა არ გადაწონოს — უახლოეს ხანებში ვნახავთ.

„აქცენტი“

პუტინმა სომხეთის ოკუპაცია დაიწყო?

რუსეთის სამხედრო პოლიციის სომხეთში შეყვანას რესპუბლიკაში მისი „ოკუპაციისა და მოთვინიერების“ მცდელობად აფასებენ. რისი მიღწევა სურს ამ ნაბიჯით მოსკოვს, ჯერჯერობით, გაუგებარია.

სომხეთში ახალი სკანდალი აგორდა, და ისევ — „რუსების გამო“: **რესპუბლიკაში, ყოველგვარი ორმხრივი დოკუმენტის წინასწარი ხელმოწერის გარეშე, რუსეთის სამხედრო პოლიციის ქვედანაყოფები შეიყვანეს.** სანამ მოსკოვი და ერევანი მსჯელობენ, რა საკანონმდებლო ბაზა მიუსადაგონ სომხებისთვის ამ არაპოპულარულ ნაბიჯს, რომელიც თავად ოფიციალურ ერევანს, როგორც ჩანს, დიდად არ გაუპროტესტებია, **გიუმრის ქუჩებში უკვე დასეირნობენ ბიჭები რუსეთის სამხედრო პოლიციიდან (ისინი ადგილობრივი რეპორტიორების ფოტოობიექტივებმა დააფიქსირეს). დადის ხმები, ისინი უკვე ერევანშიც ნახესო. მოსახლეობა აღშფოთებას ვერ მალავს** http://www.rosbalt.ru/world/2018/04/169396. html.

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ეს ქვედანაყოფი სომხეთში „სამხედრო დისციპლინის, ავტოსაგზაო მოძრაობის უსაფრთხოებისა და გიუმრის სამხედრო გარნიზონში არსებული ობიექტების დასაცავად“ გადაისროლეს.

შეგახსენებთ, რომ ერევნიდან 120 კმ-ში მდებარე გიუმრიში რუსეთის სამხედრო ბაზაა განთავსებული, რომლის კონტინგენტი ამ დროისთვის 5 000 სამხედრო პირით განისაზღვრება.

ოფიციალური მონაცემებით, პოლიციის პირადი შემადგენლობა მიიღებს სპეციალურ ეკიპირებას, საშტატო შეიარაღებას, სამხედრო ტექნიკასა და სპეცსაშუალებებს. ამასთან, ბაზის ახალ ბინადართა რაოდენობა არ სახელდება.

ნებისმიერი ადგილობრივი გეტყვით, რომ გიუმრის სამხედრო ბაზა დიდი ხანია, დანაშაულის ბუდედ იქცა — რად ღირს ჯერ მარტო ვალერი პერმიაკოვის მიერ ავეტისიანების ოჯახის, მათ შორის, 2 წლისა და 5 თვის ბავშვების სასტიკი მკვლელობა. სომხები სრულიად სამართლიანად მიუთითებენ იმაზე, რომ ეს რეზონანსული ტრაგედია 2015 წელს მოხდა და **არც მაშინ, არც რუსი „მებრძოლების“ მიერ შემდგომ ჩადენილი დანაშაულების დროს რუსეთის ხელმძღვანელობას რატომღაც აზრად არ მოსვლია, თვითნებობის აღსაკვეთად ბაზაზე დისციპლინა გაეძლიერებინა. დღემდე გიუმრის ბაზაზე წესრიგს საკუთარი ძალებით იცავდნენ. გამოდის, რომ ვითარება საგრძნობლად გაუარესდა, თუკი საჭირო გახდა იქ სამხედრო პოლიციის ქვედანაყოფების გადასროლა? თანაც სასწრაფო რეჟიმში,** ისე, რომ შესაბამისი ორმხრივი დოკუმენტის გაფორმებისთვისაც კი აღარ ეცალათ. არადა, ამ უკანასკნელის „მიჯღაბვნა“ რთული ნამდვილად არ იყო: **გიუმრის ბაზის შესახებ 1996 წლის ორმხრივი შეთანხმება შეიცავს პუნქტს, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, რუსეთის სამხედრო კონტინგენტი საჭიროების შემთხვევაში ახალი ქვედანაყოფების ფორმირების გზით გაიზარდოს, თუმცა — მხოლოდ შესაბამისი „ქაღალდების“ გაფორმების შემდეგ.**

რეალურად რაში დასჭირდა რუსეთს ბაზაზე სამხედრო პოლიცია? — **სომხეთში ერთდროულად რამდენიმე ვერსია განიხილება, რომელთა შორისაა „რესპუბლიკის ოკუპაციაც“. როგორც ინტერნეტ-პორტალი „Вне строк“ აღნიშნავს, სომხურ საზოგადოებაში არსებობენ გარკვეული სტრუქტურები, რომლებიც ცდილობენ, არსობრივად, სომხეთში რუსეთის შეჭრის პოპულარიზება მოახდინონ, რაც რესპუბლიკის მოქალაქეთა ფიზიკური უსაფრთხოებისა და სახელმწიფოებრიობის ხელყოფაზე მუშაობს: „ვიღაცას ძალიან უნდა, კბილებამდე შეიარაღებული ეს კაციჭამია მასა სომხეთის ქალაქების ქუჩებში პატრულირებდესო“.**

არსებობს ასევე მოსაზრება, რომ რუსეთი სამხრეთ კავკასიაში საკუთარ წარმომადგენლობას ახლო აღმოსავლეთში თავისი გეგმების რეალიზებასთან დაკავშირებით ზრდის. თუმცა **ბევრი დარწმუნებულია, რომ რუსული სამხედრო პოლიცია სომხეთში მზარდი ანტირუსული განწყობების მოსათოკადაა საჭირო.**

ინტერნეტ-პორტალმა „Первый армянский информационный“ რუსეთის სამხედრო პოლიციის სომხეთში გამოჩენის რამდენიმე “აღსანიშნავი ასპექტი“ ჩამოთვალა, მათ შორის — არალეგიტიმურობა; ბაზის მანდატთან შესაბამისობის საეჭვოობა; საეჭვოობა, დაიცვას სომხეთის უსაფრთხოება, თუ თავად ბაზაზე ვითარება დამატებით კონტროლს საჭიროებს. და დასმულია კითხვა: **„რაკი რუსული მედიაც კი წერს, რომ რუსეთის ჯარში არსებული მძიმე ვითარება არაეფექტური კონტროლისა და ინსტიტუციონალური კორუფციის შედეგია, სადაა გარანტიები იმისა, რომ ამ მანკიერებების ვერაღმოფხვრის შემთხვევაში რუსული სამხედრო პოლიციის ქვედანაყოფები არასტაბილურობის ახალ კერად არ იქცევიან?“.**

გამოთქმულია ასევე შეშფოთება იმის გამო, რომ **რუსეთის სამხედრო პოლიცია შესაძლოა, ჩაერიოს სომხეთის „შიდა პოლიტიკურ განვითარებაში“: „მოსკოვს არაერთხელ გაუკეთებია მინიშნება, რომ საკუთარ მოვალეობად თვლის პოსტსაბჭოთა სივრცეში ე.წ. ფერადი რევოლუციების“ ჩახშობას“. და შემდეგ: „რუსეთ-დასავლეთის დაპირისპირების ფონზე რუსეთი სხვადასხვა ფორმალური და არაფორმალური საბაბით ზრდის სამხედრო წარმომადგენლობას სომხეთში, აქცევს რა ჩვენს ქვეყანას სამხედრო პოლიგონად. არავინ ამტკიცებს, რომ სომხეთის პოლიტიკური ელიტა საკუთარი არაგონივრული პოლიტიკით უნდა ამწვავებდეს რუსეთ-სომხეთის ურთიერთობებს და ამით ზრდიდეს რისკებს სომხეთის უსაფრთხოებისთვის,** თუმცა, მეორე მხრივ, ხელისუფლება ვალდებულია, რუსეთთან ურთიერთობებში მაქსიმალურად უზრუნველყოფდეს ჩვენი ქვეყნის სუბიექტობასა და იმას, რომ ჩვენთან მოქმედი რუსული სამხედრო ბაზა გარე სამყაროში სომხეთის კოლონიზაციის სიმბოლოდ არ აღიქმებოდეს“.

კიდევ ერთი სომხური გამოცემა — Lragir — გიუმრიში რუსული სამხედრო პოლიციის ფორმირებას რუსეთის პრეზიდენტის თურქეთში ვიზიტს უკავშირებს: **„ანკარაში გამგზავრებამდე პუტინმა თურქეთს სომხეთიდან კუნთები უჩვენაო“... იქმნება შთაბეჭდილება, რომ რუსეთი გარკვეულ ოპერატიულ ამოცანას წყვეტს, ერთი მხრივ, თურქეთის წინაშე კუნთებს ათამაშებს, ხოლო, მეორე მხრივ, სამხედრო პოლიციის მეშვეობით სომხეთში რაღაცისგან თავს იზღვევსო“.**

აქ ღირს, გავიხსენოთ, რომ აპრილის დასაწყისში სომხეთის პარლამენტმა, ახალი კონსტიტუციის შესაბამისად, **რესპუბლიკის პირველი პირი — პრემიერ-მინისტრი უნდა აირჩიოს. თითქმის 100%-იანი ალბათობით, ამ თანამდებობას პრეზიდენტის პოსტიდან მიმავალი სერჟ სარგსიანი დაიკავებს. ახალი უკვე არჩეულია, ხოლო ვინაიდან სომხეთი საპარლამენტო რესპუბლიკად ტრანსფორმირდა, მას ფაქტობრივად, „ინგლისის დედოფლის“ როლი აქვს განსაზღვრული. ანუ სარგსიანი, ფაქტობრივად, სომხეთის მართვის მესამე ვადაზე მიდის — ითვლება, რომ სწორედ ამისათვის შეიცვალა ქვეყნის ძირითადი კანონი.**

ბევრი სომეხი სარგსიანის პოლიტიკური დღეგრძელობით უკმაყოფილოა, და ბუნტი შესაძლებელია. სამაგიეროდ, მისით კმაყოფილია რუსეთი: სარგსიანმა ხომ სომხეთი ევრაზიულ კავშირში შეიყვანა, უარი თქვა რა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერაზე; მისი მმართველობის პერიოდში რუსეთმა და სომხეთმა ჯარების გაერთიანებული დაჯგუფება შექმნეს და ა.შ. — ერთი სიტყვით, იგი მოსკოვის ყველა მოთხოვნას პირნათლად ასრულებს. ამდენად, **გამორიცხული არ არის, რუსეთი ახლა სარგსიანს აზღვევდეს, შიშობდეს რა მის პრემიერობასთან დაკავშირებით მოსალოდნელი „საგაზაფხულო ბუნტის“ გამო.**

თუმცა ნაკლებ სავარაუდოა, ამას კავშირი ჰქონდეს სომხეთში რუსეთის სამხედრო პოლიციის ქვედანაყოფის ჩამოყალიბებასთან. უფლებადამცველ არტურ საკუნცს აინტერესებს, „რეალურად იქნება ეს სამხედრო პოლიცია, თუ ამ საბაბით სომხეთში სულ სხვა შეიარაღებულ ქვედანაყოფებს შეიყვანენ? **მაგალითად, სირიაში უკვე ვნახეთ, როგორ მოქმედებს რუსეთი და ვის აგზავნის იქ. ხოლო რაკი ასეა, ჩნდება კიდევ ერთი კითხვა: ვის უნდა ეშინოდეს ყველაზე მეტად სიახლეებისა ბაზაზე და კიდევ რა რყევები ელის კონფლიქტებით დახუნძლულ სამხრეთ კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთს?“.**

თუმცა შეიძლება, სომხეთში რუსეთის სამხედრო პოლიციის ფორმირებაში კონსპიროლოგია არც ვეძებოთ. ამ იდეისგან სრულიად თავისუფალია, მაგალითად, მმართველი „რესპუბლიკური პარტიის“ წარმომადგენელი, დეპუტატი მიგრან აკოფიანი. იგი დარწმუნებულია მის სამშობლოში მსგავსი რუსული დანაყოფის არსებობის აუცილებლობაში და განმარტავს, რომ პრობლემები, რომელიც შესაძლოა, გიუმრის ბაზაზე წარმოიშვას, სწორედ რუსულმა და არა სომხურმა სამხედრო პოლიციამ უნდა მოაგვაროს. **„მე აქ ვერანაირ საფრთხეს ვერ ვხედავ, ვინაიდან რუსეთის სამხედრო დაჯგუფება სომხეთის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელია“,** — აღნიშნავს სომეხი დეპუტატი.

და საერთოდაც, თვლის უფლებადამცველი ლარისა ალავერდიანი, რუსეთს „არაფერი დაურღვევია“ და პრობლემა სომხურ საზოგადოებაში ინფორმაციის დეფიციტშია, რაც უამრავი სპეკულაციისა და ჭორის საფუძველი ხდება. გასაგებია, განუცხადა ჟურნალისტებს ალავერდიანმა, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ტერიტორიაზე სხვა სახელმწიფოს სამხედრო კონტინგენტის ყოფნა საზოგადოებაში კითხვებს ბადებს, ამიტომაც ხელისუფლება ვალდებულია, მოსახლეობას ამ კონტინგენტის მიზნებისა და ამოცანების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდოს.

მთლიანობაში, ისინი, ვინც თვლიან, რომ რუსეთს „არაფერი დაურღვევია“, აშკარა უმცირესობაში არიან. არადა, რუსულ სამხედრო ბაზაზე შეტევებს ჯერ პიკისთვის არ მიუღწევია, თუმცა სულ უფრო მასშტაბური ხდება. რუსეთს რომ სომხეთში სამხედრო პოლიციის შეყვანამდე სომხურ მხარესთან შესაბამისი შეთანხმება ოფიციალურად გაეფორმებინა, ამ თემის ირგვლივ სკანდალს თავიდან აირიდებდა. თუმცა რადგან ეს არ გაკეთებულა, გამოდის, რომ მოსკოვი ჩუმად მოქმედებდა და, შესაბამისად, არც უნდა აკვირვებდეს საუბრები გიუმრიში მისი პოლიციის არალეგიტიმური ყოფნისა და მისი პათოლოგიური სიბოროტის თაობაზე.

**საინფორმაციო
სააგენტო „აქცენტი“**

უკრაინა რუს ბიზნესმენებს სანქციებს დაუწესებს

უკრაინა რუს ბიზნესმენებს, რომლებიც აშშ-ს აკრძალვების სიაში მოხვდნენ, სანქციებს დაუწესებს, განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ.

„რამდენიმე დღის წინათ ქვეყნის უშიშროების სამსახურს, მინისტრთა კაბინეტს, ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებების პროექტის მომზადება დავავალე. სანქციებს მალე მივიღებთ, რომლებიც მაქსიმალურად სინქრონული იქნება შეერთებული შტატების მთავრობის გადაწყვეტილებების, სანქციები რუს ოლიგარქებს შეეხება“, — განაცხადა პოროშენკომ გერმანიის კანცლერთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე.

სავჩენკოს ბინა სამართალდამცავებმა გაჩხრიკეს

უკრაინის სამართალდამცავები ნადეჟდა სავჩენკოს ბინაში შევიდნენ. ჩხრეკის შედეგად, როგორც სავჩენკოს დედა აცხადებს, მათ ცეცხლსასროლი იარაღი და ტყვიები ამოიღეს. ჩხრეკის შესახებ ინფორმაცია ადამიანის უფლებათა დამცველმა ოლეგ სოლოვეიმ გაავრცელა. „სავჩენკოს ბინაში ახლა საგამოძიებო ღონისძიებები, ჩხრეკა ტარდება, ადგილზე იმყოფება სავჩენკოს ადვოკატი“, — განაცხადა სოლოვეიმ. უკრაინაში ტერაქტების მოწყობასა და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში ეჭვმიტანილი სავჩენკო წინასწარი პატიმრობის იზოლატორშია მოთავსებული. დაკავების შემდეგ ნადეჟდა სავჩენკომ შიმშილობა გამოაცხადა.

იულია სკრიპალი საავადმყოფოდან უსაფრთხო ადგილას გადაიყვანეს

სოლსბერიში მოწამლული იულია სკრიპალი საავადმყოფოდან გაწერეს, ის მკურნალობას უსაფრთხო ადგილზე გააგრძელებს. რაც შეეხება სერგეი სკრიპალს, მისი გამოჯანმრთელების პროცესი, ექიმების თქმით, შვილზე უფრო ნელა მიმდინარეობს, თუმცა არ არის გამორიცხული, ისიც მალე გაწერონ.

სომხეთს ახალი პრეზიდენტი ჰყავს

არმენ სარქისიანმა, რომელიც ბოლო 2 წლის განმალობაში დიდ ბრიტანეთში ცხოვრობდა, 9 აპრილს ფიცი დადო და სერჟ სარგსიანი ჩაანაცვლა.

ცნობისათვის, სერჟ სარგსიანს და არმენ სარქისიანს არანაირი კავშირი არ აქვთ ერთმანეთთან. 2015 წელს გამართული რეფერენდუმის შედეგად სომხეთი ნახევრად საპრეზიდენტო მმართველობას, საპარლამენტოთი ჩაანაცვლებს.

◎ ძიუდო

პირველი „ოქრო“ და 700 ქულა

ბაგრატ ნინიაშვილი

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები თურქეთში ანტალიის გრან პრიზე ახალგაზრდული შემადგენლობით ჩავიდა. მედლებისთვის 10 ჩვენებური იბრძოდა. მათგან საუკეთესო იყო ბაგრატ ნინიაშვილი — 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში ჭაბუკებსა და ახალგაზრდებს შორის 19 წლის მსოფლიოს პრიზიორმა თურქულ ტატამზე ხუთი შეხვედრა ჩაატარა და ყველა იოლად მოიგო, ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის ტურნირებში პირველი მედალი მოიპოვა, თან 700 სარეიტინგო ქულა დაიმსახურა.

ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონ ჯაბა პაპინაშვილს 60 კილოში მსგავს წარმატებამდე ერთი გამარჯვება დააკლდა — ვერცხლის მედალი და 490 ქულა ერგო. ახალგაზრდებში ევროპის და მსოფლიოს 18 წლის პრიზიორმა ტატო გრიგალაშვილმა 81 კილოში მესამე ადგილი დაიკავა და 350 სარეიტინგო ქულას დაყაბულდა.

საგულისხმოა, რომ სამივე ფალავანი ასეთი ტურნირების კვარცხლბეკზე პირველად ავიდა.

თამაზ პატარიძე

◎ ჭადრაკი

ქართველთა დესანტი სლოვაკეთში

30 ძვეყნის 144 წარმომადგენელი მონაწილეობს მოჭადრაკე ქალთა ევროპის ინდივიდუალურ ჩემპიონატში, რომელსაც სლოვაკეთი მასპინძლობს. ტიტულის მაძიებელთა შორის არიან სახელოვანი დიდოსტატები — მსოფლიოსა და ევროპის ექს-ჩემპიონი ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი), მსოფლიოს ექს-ჩემპიონები — მარია ჟუკოვა და ანა უშენინა (ორივე-უკრაინა), ორ-ორგზის ევროპის ჩემპიონები — ვალენტინა გუნინა (რუსეთი), ნატალია ჟუკოვა (უკრაინა), პია კრამლინგი (შვედეთი), ევროპის ჩემპიონები — ნანა ძაგნიძე, ეკატერინა ატალიკი (თურქეთი), ჰოანგ თანგ თრანგი (უნგრეთი), ასევე, გერმანელი ელიზაბეტ პეტცი, რომელმაც სულ ახლახან თბილისში სწრაფ ჭადრაკში მოიპოვა კონტინენტის ჩემპიონობა. საქართველოდან შეჯიბრებაში შვიდი დიდოსტატი მონაწილეობს. გაუწყებთ განვლილ ორ ტურში მათს შედეგებს:

I ტური. იოანა ვორეკი (ჩეხეთი)-ნანა ძაგნიძე 0:1, ანა კანტანე (პოლონეთი)-ლელა ჯავახიშვილი 0:1, სალომე მელიაიულია ანტოლაკი (პოლონეთი) 1:0, ნინო ბაციაშვილი-კუბრა ოზთურქი (თურქეთი) 0.5:0.5, ბეთულ ილდიზიბელა ხოტენაშვილი 0.5:0.5, მირანდა მიქაძე-ირინა ბულმაგა (რუმინეთი) 0.5:0.5, მერი არაბიძე-სირანუშ გუკასიანი 0.5:0.5.

II ტური. ნანა ძაგნიძე-ზეინაბ მამედიაროვა (აზერბაიჯანი) 1:0, ბელა ხოტენაშვილი-თეოდორა ინჯაჩი (სერბეთი) 1:0, ელინა დანიელიანი (სომხეთი)-მირანდა მიქაძე 1:0, დაზავდნენ: ლელა ჯავახიშვილი-ტაისია გარა (უნგრეთი), კლაუდია კულონი (პოლონეთი)-სალომე მელია, ოლგა პრუდნიკოვა (უკრაინა)-ნინო ბაციაშვილი, ლენკა პტაჩნიკოვა (ისლანდია)-მერი არაბიძე.

ჩემპიონატის მედალოსნებს 11 ტური გამოავლენს.

ლაშა დიდია

◎ 64

საჭადრაკო კომპოზიციის სათავეებთან

ენდშპილი გერმანული სიტყვაა და დაბოლოებას ნიშნავს. საჭადრაკო ორთაბრძოლების დაბოლოებებში ვლინდება მოჭადრაკის პრაქტიკული ნიჭი, არტისტიზმი, სილამაზის ესთეტიკური აღქმა და, რაც მთავარია, საეტიუდო პოზიციის ამოხსნის ერთადერთი ძნელად მისაგნები ვარიანტი.

ქართული საჭადრაკო სკოლის საკომპოზიციო ხელოვნების ბრწყინვალე წარმომადგენლები არიან გია ნადარეიშვილი, ველიმირ კალანდაძე, იური აკობია, ვაჟა ნეიძე, იოსებ კრიხელი, დავით გურგენიძე და სხვები, რომელთა ქმნილებებმა ენდშპილის თეორია არსებითად გაამდიდრა. მათ შორის კი უპირობო ლიდერობა ეკუთვნის საერთაშორისო დიდოსტატს და მსოფლიოს პირველ ჩემპიონს ეტიუდების შედგენაში დავით გურგენიძეს.

საჭადრაკო კომპოზიციის სათავეებთან დგანან ფილიპ სტამა (XIII ს.), პიედრო კარერა (1573-1647), პედრო დამიანო (გარდაიცვალა 1545 წ.), ჯულიო პოლერიო (1548-1612), კარლო კოციო (1715-1780) და სხვები, რომლებმაც უდიდესი წვლილი შეიტანეს საჭადრაკო თეორიისა და საკომპოზიციო ხელოვნების განვითარებაში.

გთავაზობთ XVIII საუკუნის საჭადრაკო სამყაროს ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის ფილიპ სტამას კომპოზიციებს. იგი წარმოშობით არაბია. 1737 წელს მან პარიზში გამოაქვეყნა წიგნი „ჭადრაკის თამაშის გამოცდილება“, ხოლო 1745 წ. ლონდონში გამოსცა ამ წიგნის მეორე ვარიანტი „ჭადრაკი კეთილშობილი თამაშია“.

მოამზადა თამაზ შენგელიამ

მარტოხელა მხედარი პაიკის დახმარებით აშამათებს მეფეს. ფ. სტამა. 1737



„დახშული შამათი“ ფ. სტამა. 1790



◎ ხელბურთი

რევანშიც, მთავარი პრიზიც

საქართველოს, იტალიის, ფინეთის ეროვნული გუნდები და საქართველოს ახლგაზრდული ნაკრები მონაწილეობდნენ ხელბურთელ ვაჟთა თბილისის საერთაშორისო ტურნირში, რომელსაც სპორტის სასახლემ უმასპინძლა. შეგახსენებთ, რომ შეჯიბრების სტარტზე საქართველოს ნაკრებმა იტალიელებს მოუგო — 30:28, ხოლო ჩვენს ახალგაზრდულ გუნდს ფინელებმა ძლიეს 31:26. მეორე დღეს პირველმა ნაკრებმა ჭაბუკთა გუნდთან 24:26 წააგო, აპენინელებმა კი სუომელებს აჯობეს - 35:28. ასე რომ, ბოლო ტურის წინ ოთხივე ნაკრებმა ორ-ორ ქულას მოუყარა თავი და მთავარი პრიზის მოსაპოვებლად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსა და ფინეთის მატჩს. შეხვედრა დაძაბული და დრამატული აღმოჩნდა. მასპინძლები მალევე დაწინაურდნენ. საქართველოს ნაკრებმა დაცვის ცენტრში სამი ორმეტრიანი ხელბურთელი დააყენა, რის გამოც სტუმრები ბურთის ნახტომში დარტყმას ვერ ახერხებდნენ, დაბალ ბურთებს კი მეკარე შოთა თევზაძე იოლად იგერიებდა.

პირველი ტაიმი ჩვენებმა 10:6 მოიგეს. შესვენების შემდეგ ისინი შვიდბურთიანი სხვაობითაც გავიდნენ წინ, მაგრამ პაექრობის დასრულებამდე 4 წუთით ადრე სუომელებმა წონასწორობა აღადგინეს — 19:19. დარჩენილ დროში ცხოვრებაძემ და ჩიქოვანმა მეტოქეს 2 გოლი გაუტანეს, თევზაძემ კი საკუთარი კარი მშრალად შეინახა. მასპინძლებმა 21:19 გაიმარჯვეს და მთავარი პრიზი მოიპოვეს. მეორე მატჩში იტალიამ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს 40:28 სძლია და მეორე ადგილი დაიკავა. მესამეზე ფინელები გავიდნენ, ხოლო მეოთხე ადგილი ახალგაზრდულ გუნდს ხვდა.

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა, იმის მიუხედავად, რომ ორი წამყვანი მოთამაშე აკლდა (თეიმურაზ ორჯონიკიძე და ლექსო წითელიშვილი), აჯობა საკმაოდ ძლიერ სტუმართა გუნდებს და, რაც მთავარია, წინა შესარჩევში იტალიასთან მარცხისთვის რევანში აიღო. მწვრთნელებმა გამოსცადეს რამდენიმე ახალგაზრდა მოთამაშე. თავი დაგვამახსოვრა ახალგაზრდულმა ნაკრებმაც, რომლის რამდენიმე ხელბურთელს მალე ეროვნულ გუნდში ვიხილავთ. შემოდგომაზე ჩვენები ევრო 2022-ის პირველ საკვალიფიკაციო რაუნდში ჩაებმებიან.

ლექსო ცინცაძე

◎ ჩოგბურთი

მესამე ზონაში ჩამოქვეითდნენ

საქართველოს ჩოგბურთელ ვაჟთა ნაკრები მას შემდეგ, რაც წლეულს მაროკოსთან 1:3 დამარცხდა, დევისის თასის გათამაშების ევროაფრიკული ზონის მეორე ჯგუფში ადგილის შესანარჩუნებლად ლუქსემბურგის ეროვნულ გუნდს სტუმრად დაუპირისპირდა. მასპინძელთა სპორტულ ღირსებას ამჟამინდელი მსოფლიოს კლასიფიკაციით 29-ე ადგილზე მყოფი ჟილ მიულერი იცავდა, სტუმრებს კი ტრავმების გამო ნიკოლოზ ბასილაშვილი აკლდათ.

სამწუხაროდ, ჩვენებმა მეტოქეს სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს: ჟილ მიულერმა ზურა ტყემალაძე დაამარცხა (6:3, 6:2), გიორგი ცივაძემ კი უგო ნასტასისთან წააგო (6:3, 5:7, 4:6). წყვილებში ჟილ მიულერისა და უგო ნასტასის დუეტმა იოლად აჯობა ალექსანდრე მეტრეველისა და გიორგი ცივაძის ტანდემს — 6:3, 6:1. ბოლო ორმა შეხვედრამ მასპინძელთათვის ინტერესი დაკარგა, ამიტომ კორტზე სათადარიგოები შემოუშვეს: ალექს კნაფი-ვაჟა შუბლაძე — 6:1, 6:2, კრისტოფერ თოლი-ზურა ტყემალაძე — 6:4, 6:4.

საბოლოოდ საქართველოს ნაკრები 0:5 დამარცხდა და მესამე ზონაში ჩამოქვეითდა.

გივი გაგუა

◎ ჩოგბურთი

მოწოდება - რესტორანი

ლეგენდარული პორტუგალიელი ფეხბურთელის ლუიშ ფიგუს ცოლი, ყოფილი მსახიობი, პორნოვარსკვლავი და საზოგადო მოღვაწე ელენ სვედინი პერიოდულად ახალ საქმეს გაიჩენს ხოლმე და იმ საქმით ერთობა. აბა, მოწყენილობა ამ ქალთან შორს რომაა - ეს რთული მისახვედრი არ უნდა იყოს.

ელენ სვედინის უკანასკნელი ჰობი რესტორატორობა ყოფილა და სარესტორნო ბიზნესით ფიგუს ცოლი იმდენად დაინტერესდა, რომ ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში კარგა გვარიანად დიდი საქეიფო გაუხსნია. რესტორანს თავად ელენი მართავს და, როგორც ჩანს, არცთუ ცუდად, რადგან ფაქტია, რომ კლიენტურა არ აკლია.

სხვათა შორის, ელენ სვედინი ყოველთვის გურმანად ითვლებოდა და მისი ხედვები გემრიელად დანაყრებასა და გამუდმებულად ღეჭვა-ყლაპვაზე შორს მიდიოდა. როდესაც საქმე გიყვარს და მოგწონს, იმის ხელობად ქცევა, რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, თუმცა, სასიამოვნოს თუკი გვარიანი მოგებაც ახლავს — ეს კიდევ სულ სხვა საქმეა!

როსტომ რაჭველიშვილი

ლისის ტბის მიდამოებში ძალიან ბევრი ნაკვეთია გაცემული!

„ლისის ტბის ტერიტორიის სწორად განვითარება აუცილებელია, რათა იქ ქაოტური განაშენიანება არ მივიღოთ“, — აცხადებს დედაქალაქის მერი კახა კალაძე და ამ ტბის უმნიშვნელოვანეს რეკრეაციულ ფუნქციაზე საუბრობს.

მისივე განმარტებით, ლისის ტბის გარშემო მიმდინარე პროცესები ცხადყოფს, რომ იმ ბუნებრივი მახასიათებლების გაქრობის საფრთხის წინაშე ვართ, რის გამოც ლისი, როგორც სარეკრეაციო სივრცე, მიმზიდველია თბილისელებისთვის. ამიტომ ამ ეტაპზე მიზანშეწონილია ლისის არეალში დროებით შეჩერდეს განაშენიანების პროცესი.

ამ მხრივ ლისის ტბა ერთადერთი გამონაკლისი არ იქნება. დიღმის ჭალები, ვერეს ხეობა, მტკვრის კალაპოტი — ეს ის ადგილებია, სადაც მშენებლობა, ასევე, შეიზღუდება.

ტექნოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ორგანიზაცია „მშენებლობა ფალსიფიკაციის გარეშე“ ხელმძღვანელი ანზორ საკანდელიძე აცხადებს, რომ მარტო ლისის ტბა კი არა, თბილისში რამდენიმე ათეული მდინარეა თავისი ხევებით, სადაც მშენებლობა არ შეიძლება. ის, რაც მდინარე ვერეზე მოხდა, ასეთი რამ ყველგან მოსალოდნელია. მდინარეების კალაპოტები რომ გაიყიდა, ეს საშინელება იყო. შესაძლოა, ათ, ოც და ოცდაათ წელიწადში იქ არაფერი მოხდეს, მაგრამ ოდესმე აუცილებლად მოხდება ამ მდინარეების ადიდება და, რაც გააკეთა მდინარე ვერემ, შეიძლება მონაგონი იყოს.

„საბჭოთა კანონმდებლობით, მდინარეების კალაპოტებში რაიმე სახის კაპიტალური მშენებლობა სასტიკად იკრძალებოდა. ამიტომ, თუ ასეთ ადგილებში დღესაც რაიმე აშენებულია, უნდა დაინგრეს. წინაალმდეგ შემთხვევაში, დღეს თუ ხვალ მას მაინც მდინარე დაანგრევს და მოხდება უბედურება. რაც შეეხება ლისის ტბას, მის მიმდებარედ განაშენიანება უნდა დასრულდეს. ჩვენ გვახსოვს, რომ უნდოდათ ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიის სასაფლაოდ გადაკეთება. ამისთვის წყლის მოდინება შეამცირეს, წყალი გადაკეტეს სადღაც, მილებით სხვაგან გადაიყვანეს. შედეგად, ლისის ტბა თითქმის კვდებოდა, მერე გაეხსნათ გონება და ისევ გააცოცხლეს ეს ტბა. ახლა ხელახლა ამ ტბაზე ხელის წაპოტინება დაუშვებელია. მით უმეტეს, იპოდრომიც იქით გადავიდა და ქალაქის ერთ-ერთი უდიდესი გამაჯანსაღებელი ადგილი ხდება. ამას ყველანაირად უნდა შევუწყოთ ხელი, რომ იქ მაღლივი მშენებლობები აიკრძალოს, თბილისში 12 სართულზე მეტი კანონით არც უნდა აშენდეს. ამ დროს კი აშენებულია 30 და 40-სართულიანები. ეს ყველაფერი უკანონო და საშიშია“, — აღნიშნა ანზორ საკანდელიძემ.

ქალაქდაგეგმარების სპეციალისტი ზურაბ ბაქრაძე ჩვენთან საუბრისას აცხადებს, რომ ლისის ტბის შენარჩუნების მიზნით ქაოტური განაშენიანების აკრძალვა სწორი და დაგვიანებული გადაწყვეტილებაა. ეს გახლავთ სარეკრეაციო ზონა, რომელიც ძალზე სჭირდება ქალაქს სხვა სარეკრეაციო ზონებთან ერთად. ამიტომ ქალაქის მმართველობა ყველანაირად უნდა შეეცადოს, სარეკრეაციოდ შეინარჩუნოს ასეთი ტერიტორიები. ზურაბ ბაქრაძე დედაქალაქის მესვეურთ ურჩევს, ასეთივე მიდგომა გამოავლინონ მთაწმინდის, კუს ტბის ფერდების, მახათისა და ლოტკინის ფერდების, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიის მიმართ, რათა ამ ადგილებშიც დანიშნული იყოს განაშენიანების ზღვარი, რომლის ზემოთაც ფერდები გადარჩება განაშენიანებას. ამით თბილისი შეინარჩუნებს თავის ლანდშაფტურ ფასეულობებს, გადარჩება მცენარეული საფარი, რომელიც ძალზე მნიშვნელოვანია.

მით უმეტეს, რომ გარდა სარეკრეაციო მნიშვნელობისა, თბილისის ზღვას კიდევ ის მნიშვნელობაც გააჩნია, რომ ეს არის სასმელი წყლის რეზერვუარი და მის გარშემო მშენებლობა არაფრით არ შეიძლება. ეს ნორმატივებითაც აკრძალულია და ყველა ფერდზე, რომელიც მიმართულია თბილისის ზღვისკენ და, საიდანაც ნალექები თბილისის ზღვისკენ ჩაირეცხება, მშენებლობა კატეგორიულად იკრძალება.

„მივესალმები ქალაქის მერის გადაწყვეტილებას ლისის ტბის არეალში განაშენიანების პროცესის დროებითი შეჩერების თაობაზე. ის, რომ ნაკვეთები გაყიდულია, ეს არის იმ ხელისუფლების დანაშაული, ვინც ეს გაყიდა. ახალმა ხელისუფლებამ გამოსავალი უნდა მოძებნოს. საკუთრების ფორმა არ განსაზღვრავს ამ ნაკვეთების გამოყენების რეჟიმს. შეიძლება, ადამიანს იქ საკუთრება ჰქონდეს, მაგრამ იმის გამო, რომ იქ მშენებლობა არ შეიძლება, შერჩება ეს ადგილი ისე, რომ ვერაფერს ააშენებს. თუმცა შეუძლია, ბაღი გააშენოს, ხეები დარგოს. თუ უფრო მეტზე წავა ქალაქის მმართველობა, შეიძლება დაფიქრდეს ადგილმონაცვლეობაზე, ან ადგილების გამოსყიდვაზე. რაც შეეხებათ ადამიანებს, ვინც უკვე ააშენეს სახლები ამ ნაკვეთებზე, იქ აშენებული სახლები და მიწის ნაკვეთები მიიღებენ შეუსაბამო ობიექტების სტატუსს. შეუსაბამობა ნიშნავს იმას, რაც კანონითაა გაწერილი, რომ მისი განვითარება მხოლოდ შეუსაბამობის შემცირების მიმართულებით შეიძლება.

გარდა ამისა, ჩვენ გვაქვს ექსპროპრიაციის კანონი, რომლითაც, განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესის შემთხვევაში, ქალაქმა მესაკუთრეს შეიძლება შესთავაზოს საბაზრო ფასი. ასეთ შემთხვევაში, საბოლოო სიტყვას ქალაქი იტყვის. მესაკუთრე ვერ იტყვის, რომ საბაზრო ფასზე მეტი თანხა სურს, რადგან თავის საკუთრებას რამდენსაც უნდა, იმდენ ფასს დაადებს. ამის უფლება არ ექნება, ამიტომ საბაზრო ფასზე უნდა დაეთანხმოს, ქალაქი გადაუხდის ამ ფასს და ეს ნაკვეთი გადავა ქალაქის საკუთრებაში“, — აცხადებს ზურაბ ბაქრაძე.

მისივე თქმით, ლისის ტბის მიდამოებში ძალიან ბევრი ნაკვეთია გაცემული, ზოგან სახლიცაა აშენებული. თანაც, საინტერესოა, რას ნიშნავს ტერმინი „ლისის ტბის გარშემო“. ამას დეფინირება სჭირდება, რადგან შეიძლება ლისის ტბის გარშემო ისეთი ნაკვეთები შენარჩუნდეს, რომლებიც უშუალო გავლენას არ ახდენს სარეკრეაციო ფუნქციაზე. ასეთ შემთხვევაში, შეიძლება თვალი დახუჭოს ქალაქმა, მაგრამ იმ სახლის მშენებლობა, რომელიც უშუალოდ უშლის ხელს სარეკრეაციო ფუნქციას, აუცილებლად უნდა შეჩერდეს.

მანანა ნოზაძე

სანთელი

უახლოესი მეგობრები რუსუდან ენუქიძე, ლამარა ჯაფარიძე, ლამარა ბაძაღუა, იზოლდა დოლიძე, იდა ხელაძე, ლია ანდრონიკაშვილი, ლამარა პაპინაშვილი, თენგიზ არჩვაძე, თეიმურაზ ებრალიძე გულისტკივილით ვიხსენებთ, რომ ორმოცი დღის წინათ გარდაიცვალა ჩვენი სიხარულისა და გაჭირვების დროს მუდამ ჩვენს გვერდში მდგომი, ჭკვიანი და ლამაზი ქალბატონი

ლამარა გამსახურდია

და კიდევ ერთხელ სამძიმარს ვუცხადებთ მის ოჯახს. ნათელში ამყოფოს უფალმა მისი სული.

პეკინის გამზირზე, საცხოვრებელ სახლში ცოლ-ქმარი გარდაცვლილი იპოვეს

თბილისში, პეკინის გამზირზე, საცხოვრებელ სახლში ცოლ-ქმარი გარდაცვლილი იპოვეს.

ისინი უცხო ქვეყნის მოქალაქეები არიან და, სავარაუდოდ, CO-თი ინტოქსიკაციის შედეგად გარდაიცვალნენ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 240-ე მუხლის პრიმა მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს, რაც ელექტრო ან თბოენერგიის, გაზის, ნავთობის ან ნავთობპროდუქტების ობიექტზე უსაფრთხოების წესების დარღვევას გულისხმობს, რასაც მოჰყვა ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

საქართველოს ტერიტორიული წყლების დაბინძურების 2 ფაქტი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამმართველოს თანამშრომლებმა, სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებთან ერთად, გემის მიერ საქართველოს ტერიტორიული წყლების დაბინძურების 2 ფაქტი გამოავლინეს.

პანამისა და სიერა ლეონეს დროშის ქვეშ მცურავმა გემებმა ფოთის ნავსადგურის ნავმისადგომთან სამეურნეო-ფეკალური წყლებით ზღვა დაანძურეს.

ორივე გემის კაპიტანს ფოთის საქალაქო სასამართლომ, 65 000 ლარის ოდენობით საჯარიმო სანქციები დააკისრა, რასაც დაემატა გარემოსთვის მიყენებული ზიანის თანხა, ჯამში — 2835 ლარის ოდენობით.

გემები საქართველოს ტერიტორიულ წყლებს დაკისრებული საჯარიმო სანქციებისა და გარემოსთვის მიყენებული ზიანის თანხის გადახდის შემდეგ დატოვებენ.

უკანონო თევზჭერის ფაქტები გამოავლინეს

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, მიმდინარე წლის 6 აპრილიდან, დღემდე უკანონო თევზჭერის 4 ფაქტი გამოავლინეს.

მარნეულის მუნიციპალიტეტის, სოფელ საიმერლოს მიმდებარედ, მდინარე ხრამზე, მოქალაქეები ნავიდან თევზჭერას ელექტროშოკური აპარატის გამოყენებით ახორციელებდნენ. დეპარტამენტის ქვემო ქართლის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლების ადგილზე მისვლის შემდგომ, მოქალაქეებმა გადაადგეს ელექტროშოკური აპარატი და ავტომანქანით შეეცადნენ მიმალვას. ხოლო დევნის პროცესში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ავტომანქანაზე მოახდინეს შეჯახება. გაწეული ფიზიკური წინააღმდეგობის მიუხედავად, ქვემო ქართლის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებმა მოქალაქეები დააკავეს. ამოღებულია გასაბერი ნავი, 2 ერთეული აკუმულატორი, 2 ერთეული ნიჩაბი, ჩოგანი და მოპოვებული 20 კგ. თევზი. მათ მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები ასკ-ის 86-ე მუხლის მე-8 ნაწილით, რაც ითვალისწინებს ჯარიმას 2000-4000 ლარს და 84-ე მუხლის მე-3 ნაწილით ჯარიმას 5000 ლარს. ამასთან, ავტომანქანის მძღოლის მიმართ, დეპარტამენტის თანამშრომელთათვის უფლება-მოვალეობების განხორციელებაში ხელის შეშლის გამო, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ასკ-ის 84-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რაც ითვალისწინებს ჯარიმას 5000 ლარის ოდენობით.

ოჯახში მოძალადეს 2,6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და დედისა და ძმის მიმართ განხორციელებულ ძალადობაში ჯ.ყ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1261-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით.

2018 წლის 7 იანვარს, ღამის საათებში, განზრახი დანაშაულისთვის პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფმა ჯ.ყ.-მ ურთიერთშელაპარაკებისას, დედაზე და ძმაზე განახორციელა ძალადობა, რის შედეგადაც დაზარალებულებმა ფიზიკური ტკივილი განიცადეს.

სამართალდამცველებმა ჯ.ყ. 2018 წლის 9 იანვარს, ქ. თბილისში დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 1261-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი, ჩადენილი ორი პირის მიმართ) წარედგინა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ჯ.ყ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 2 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

ვულოცავთ!

მეგობრობითა და ერთგულებით გამორჩეული...

გულით ვულოცავთ ბატონ იგორ ქობალიას დაბადებიდან 80 წლის სახელოვან იუბილეს და ვუსურვებთ ყოველივე საუკეთესოს ძვირფას ოჯახთან ერთად.

ბატონმა იგორმა 80-წლიანი ცხოვრების გზა სასახელოდ განვლო, რითაც პატივისცემა და აღიარება დაიმსახურა. მან ნახევარ საუკუნეზე მეტი სხვადასხვა მაღალ თანამდებობაზე იმუშავა კეთილსინდისიერად. წარმატებულად და დიდი პასუხისმგებლობით, იგი ალალად ემსახურა მშობლიურ ზუგდიდის რაიონს, სამეგრელოს რეგიონს, ქვეყანას.

ბატონი იგორ ქობალია დაიბადა ზუგდიდის რაიონის სოფელ კორცხელში. საშუალო და უმაღლესი განათლების მიღების პარალელურად ფიზიკურად კოლმეურნეობაში მომუშავე ახალგაზრდას აწინაურებენ კომკავშირის რაიკომში, შემდეგ კი პარტიის რაიონულ კომიტეტში. იყო ინსტრუქტორი, განყოფილების უფროსი, მეორე მდივანი და პარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი.

შემდგომ იგი გადაჰყავთ საქართველოს მინისტრთა საბჭოში პასუხისმგებელ თანამდებობაზე, იქიდან კი საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში მთავარი სამმართველოს უფროსად. შემდგომ იგი უბრუნდება მშობლიურ ზუგდიდს. იმუშავა ზუგდიდის გამგებლის პირველ მოადგილედ და სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის გუბერნატორის მოადგილედ. იგი ყველგან დიდ სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდა.

ბატონი იგორი კეთილი ადამიანური თვისებებით არის დაჯილდოებული, გამორჩეული და მისაბაძია მეგობრებში და მეგობრობაში. ჩვენ მისი უახლოესი მეგობრები ვამაყობთ მისით.

ბატონო იგორ, ჩვენი დიდი სურვილია, გვყავდე დიდხანს ასე ლამაზად, კოხტად და შემართულად.

პატივისცემითა და სიყვარულით ზუგდიდელი უახლოესი მეგობრები: **ოთარ ფაცაცია, ნოდარ ჭითანავა, ბონდო ჯიძია, გურამ გუნავა, იური გუგუჩია, თენგიზ შანავა, ოთარ, ლერი და თენგიზ ჭითანავები, პაატა დანელია, თამაზ ცანავა, ტრისტან ფანგანი, ვაჟა ფიფია.**

მსოფლიოს უხუცესი მამაკაცი 112 წლისაა

გინესების რეკორდების წიგნში დედამიწის ყველაზე დიდხანს მცხოვრებ ადამიანად 112 წლის იაპონელი მასაძო ნონაკა შევიდა. კუნძულ ხოკაიდოზე მოხუცი თავის შთამომავლებთან ერთად ჩვეული ცხოვრებით ცხოვრობს, უყვარს ტკბილეულობა, განსაკუთრებით ტორტები, ბევრს კითხულობს და ხშირად ბუნებრივი მინერალური თბილი წყლის აბაზანებს იღებს. აღსანიშნავია, რომ ნონაკა მსოფლიოს ხანდაზმულთა რეიტინგში მხოლოდ 31 ადგილზეა, მასზე მოხუცი დანარჩენი 30 ქალია. ყველაზე ხანდაზმულ ადამიანად 117 წლის იაპონელი ქალბატონი ითვლება.

ავარია ავტომაგისტრალზე

ქობულეთი-ბათუმის ცენტრალურ ავტომაგისტრალზე სატვირთო მანქანა და მიკროავტობუსი ერთმანეთს შეეჯახნენ.

შემთხვევის შედეგად ოთხი ადამიანი დაშავდა. ისინი კლინიკაში გადაიყვანეს.

ექიმების განცხადებით, დაშავებულებს მსუბუქი დაზიანებები აღენიშნებოდათ.

აბა, გაიღიმეთ!

ფსიქოლოგები ადამიანის ღიმილის 19 სახეობას არჩევენ, რომელთაგან მედისონში ვისკონსინის უნივერსიტეტის (აშშ) მეცნიერებმა ბედნიერებასთან თუნდაც რაიმე კავშირის მქონე მხოლოდ 6 ტიპი გამოყვეს.

ადამიანები იღიმებიან მაშინაც კი, როცა სტკივათ, ეშინიათ, თავს არაკომფორტულად ან უბედურად გრძნობენ, განრისხებულნი არიან, უნდობლობას, მორიდებულობას ან სირცხვილის გრძნობას განიცდიან.

ამასთან, ბედნიერი ღიმილი – ეს ერთგვარად „საკუთარი თავის ჯილდოა“, როცა კაცმა საკუთარი თავისთვის რაღაც სიკეთის მოტანა შეძლო, ხოლო დანარჩენი სახეობის ღიმილები კი ეს უფრო გზავნილია გარშემო მყოფთათვის, რომლის მეშვეობით ადამიანები იმას აჩვენებენ, რომ არავისთვის ზიანის მიყენება არ სურთ. სხვა შემთხვევებში კი ღიმილი უპირატესობის არააგრესიული დემონსტრირებაა.

ამასთანავე, ისიც უნდა ითქვას, რომ მეცნიერებს დღემდე ვერ გაურკვევიათ, მაინც რას ნიშნავს სახის ღიმილიანი გამომეტყველება – ესაა კულტურის პროდუქტი თუ ინსტინქტური და უნივერსალური მოვლენა? მაგალითად, ბონობოს ჯიშის მაიმუნებში ღიმილი შიშისა და ნევროზულობის და არა დადებითი ემოციების ნიშანია.

შეიბრალეთ საკუთარი თავი!

ჯანმრთელიც რომ იყოთ და დიდხანსაც იცოცხლოთ, თურმე საჭირო ყოფილა საკუთარი თავის პატიების სწავლა.

გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ ის ადამიანები, ვისაც საკუთარი თავის შებრალების უნარი არა აქვს, გამუდმებული ქრონიკული სტრესის მდგომარეობაში ცხოვრობენ. აღმოჩნდა, რომ საკუთარი თავის კრიტიკის ჩვევა – გულის სისხლძარღვთა დაავადებების მქონე პაციენტების დამახასიათებელი ნიშანი ყოფილა. არადა, როგორც ირკვევა, საკუთარი გასაჭირის სხვისთვის გაზიარების ჩვევა საგრძნობლად ამცირებს ფსიქიკურ დაძაბულობას.

ბახუსის „მტერ-მოყვარენი“

მაინც რატომ ხდება, რომ ერთიორი ჭიქა ალკოჰოლის შემდეგ ზოგნი გულკეთილნი ხდებიან, სხვები კი მუშტებზე იყურებიან?

ამის გარკვევისას საჭიროა რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება. პირველი ისაა, რომ ალკოჰოლური ინტოქსიკაცია თანდათანობით იჩენს თავს. თრობის პირველი სტადია მოდუნებითა და ეიფორიით ხასიათდება, მომდევნო სტადიაში კი წინა პლანზე გაღიზიანება გამოდის, რომელიც ბოლოს აგრესიაში გადადის.

მეორე მომენტი ისაა, რომ ეთილის სპირტის ზემოქმედებით რეალობა მახინჯდება: კაცს ყველგან საფრთხე ელანდება, შარიანი და წყენია ხდება, ყოველივე კი, ხშირად, თანამეინახეთა დავიდარაბით მთავრდება.

მესამე გარემოება კი ის გახლავთ, რომ პათოლოგიური სიმთვრალე თანდაყოლილი ან შეძენილი ფსიქოლოგიური დაავადებების მქონე, ანდა ქალა-ტვინის ტრავმაგადატანილ ადამიანებს აღენიშნებათ. ალკოჰოლი გარკვეულ სოციალურ მუხრუჭებს ხსნის და პრობლემებიც უფრო თავს იჩენენ.

ღვიძლის „მცველი“ ყავა...



ედინბურგის (შოტლანდია) უნივერსიტეტის მკვლევარებმა დაადგინეს, რომ მათ, ვინც დღეში თუნდაც ერთ ფინჯან ყავას სვამს, ღვიძლის კიბოთი დაავადების საფრთხე 20 პროცენტით იმათზე მცირე აქვთ, ვინც ყავას საერთოდ არ მიირთმევს.

ამასთან, მკვლევარები იმასაც აცხადებენ, რომ მათ, ვინც დღეში ხუთ ფინჯან ყავს სვამს, ეს რისკი უნახევრდებათ. მეტიც, დადებითი ეფექტი მაშინაც აღინიშნება, როცა მომხმარებელი უკოფეინო ყავას სვამს, რომელიც ჩვეულებრივზე რამდენადმე სუსტია.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4011; ევრო - 2.9474;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3750;
100 რუბლი - 4.1707; თურქული ლირა - 0.5955;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4167;
1000 სომხური დრამი - 4.9971.

ამინდი 11 აპრილისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +7, დღე +25
მთიანი რაიონები - ღამე +3, დღე +25
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +12, დღე +28
მთიანი რაიონები - ღამე +9, დღე +26
თბილისი: ღამე +11, დღე +23

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge